პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამ

კომუნისტი

ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— საფრანგეთის პრესის აზრით ს. ს. რ. კ. მიწვევა სრუტეების შესახებ კონვენციაზე ხელის მოსაწერად საბჭოთა მთავრობის ცნობას ნიშნავს.

— სამხრეთ-სლავიის პარლამენტის უმრავლესობა ს. ს. რ. კ. ურთიერთობის განახლების მომხრეა.

— ბრესლავლში არეულობა დაიწყო. ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა.

— ლოძში გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

№ 168 სამშაბათი 24 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 168

სამშაბათს, 24 ივლისს, საღამოს 7 საათზე შესდგება

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

ს. ს. ცაკის მდივანი პ. **საბაშვილი.**

აქართველოს კომუნ. პარტ. ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს 27 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

ის წესრიგში დასვან 1) ადგილკომებისა და საქარხნო კომიტეტთა ფრაქციის მიერ ანგარიშის წარდგენა უჯრედებისათვის და 2) საჰაერო ფლოტის კვირეული.

ამ საკითხის შესახებ თეზისები გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“, 11 ივლისის №-ში.

უჯრედების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისა და მდივნებისათვის და უჯრედების მიერ მოხსენებისათვის გამოყოფილ ამხანაგებისათვის გაიმართება საინსტრუქტორო მოხსენება.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

დღევანდელი კონფერენცია

დღეს შესდგება ყოფილ მენშევიკურ პარტიის თბილისის საქალაქო კონფერენცია.

ერთ დროს მძლავრი ორგანიზაცია მენშევიკებისა ყოფილ პარტიად იქცა, მას ჩამოშორდნენ ყველა სასიცოცხლო, პატიოსანი და მშრომელი ელემენტები. ისინი იმიჯნებიან თავიანთი წინანდელი ლიდერებისაგან, უარყოფენ მენშევიკურ ტაქტიკას და იდეოლოგიას და უბრუნდებიან რევოლიუციონურ მუშათა კლასის ოჯახს, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხდება დღეს თვალ ახილულ, კლასობრივად გამოფხიზლებულ ყოფილ მენშევიკ მუშების და გლეხების კონფერენციები, რომლებზედაც მათ სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ თავიანთი პარტიისათვის; ისინი საჯაროდ გმობენ ძველ გზას, ყოფილი მეთაურების მოქმედებას და უყოყმანოდ დგებიან კომუნისტურ პარტიის მხარეზე და საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რიგებში.

ჩვენ არა ერთხელ გვქონდა განმარტებული მენშევიკური პარტიის ასეთი გაუგონარი და მასიური დაშლის მიზეზები.

მშრომელ მასსის საღმა კლასობრივმა ინსტიქტმა ბოლოს და ბოლოს თავისი გაიტანა. ის მიხვდა, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი და მოკეთე.

მენშევიკურ მასსის ამ გამოფხიზლებას ხელი შეუწყო ერთი მხრით მენშევიკების ზედაფენების, მათი „ცეკისტების“ კონტრ-რევოლიუციონურმა მოქმედებამ, მათმა „საგმირო საქმეებმა“, მეორე მხრით კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობამ მშრომელ ხალხის ინტერესების დასაცავად.

მენშევიკურ მასსას სრული საშუალება და საკმაო დრო ჰქონდა გარკვეულიყო მდგომარეობაში, სწორად და მიუდგომლად შეეფასებია როგორც მენშევიკების, ისე ჩვენი, კომუნისტების მუშაობა.

ამ ღრმა დაკვირვების და შეფასების შედეგია ის, რასაც ჩვენ ეხლა ყველა ვხედავთ—მენშევიკური პარტიის სრული დაშლა და მისი მუშური ელემენტების გადასვლა რევოლიუციის მხარეზე.

თვით მენშევიკების ან უკვე უჯაროდ დარჩენილი „გენერლები“, რა ქმა უნდა, სულ სხვანაირად ხსნიან მათთვის არასასიამოვნო მოვლე- მათ ამისთვის ორიგინალური სტორიოსოფია“ აქვთ შემუშავებუ- ისინი, როგორც აქ დარჩენილი, რომულებში მიმალული, არავისგან არჩეული „ცეკისტები“, ისე ზღვარ-გარედ გადახიზნული მათი როსი კოლეგები ყველაფერ ამას წერენ, ერთის მხრივ, „ჩეკის“ ძალადო- ს, მეორე მხრივ—თავიანთ ყოფილ მდევრების სიმხდალეს, რომლებსაც ღალატებს და პარტიის ნაძირა- ს უწოდებენ.

ასეა წყალწაღებულ ხალხის „არგუმენტაცია“.

ყოფილი მენშევიკი მუშები, რომელთაც ზურგი შეაქციეს თავიანთ „მეთაურებს“, ძველი რევოლიუციონერებია, რომელთაც დიდი ბრძოლა და ტანჯვა-წამება აქვთ გადატანილი თვითმპყრობელობის დროს. იმ ხალხს, რომელიც შეადგენდა წინედ მენშევიკური პარტიის მუშურ საძირკველს, ის მენშევიკური ცეკისტები ასე ირებენ და ლაფში სვრიან.

მუშათა კლასის და რევოლიუციის თვალსაზრისით ამ ვაჟბატონების ვა-გინება საუკეთესო ატესტატია იმ მუშებისათვის, რომელთაც და ახალეს მათ შავ საქმეებს, რომელთაც დაგმეს ისინი. ეს მოწმობს, რომ ეს ყოფილ მენშევიკ მუშები მართლა უდიდეს რევოლიუციონურ საქმეს აკეთებენ ეხლა.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია შეჩერება „ცეკისტების“ ბრალდებაზე რა ძალადობის ხმარების შესახებ ოფხიზლებულ მენშევიკ მუშების მიმართ. განა უნდა იმის მტკიცება, ეს მუშები სრული შეგნებით და ნებაყოფლობით მოქმედებენ, და არა ვინმეს კარნახით.

ქუთაისიდან ამას წინედ ჩვენ გვქონდა გამოქვეყნებული ცნობა, თუ რა თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული მენშევიკებს არჩევნების და კონფერენციების დროს. ციხიდან იყვნენ გამოშვებულნი ისეთებიც, რომელნიც აშკარად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გაუსწორებელი მენშევიკები, მათი ცეკს აგენტები თავისუფალ კამპანიას აწარმოებდნენ თავიანთ წინანდელ ამხანაგებში მათი ასამხედრებლად კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ მათმა ცდამ არ გასჭრა და ვერავინ შეაჩერა საჯაროდ მართალი სიტყვის თქმისაგან.

ასე ნებაყოფლობით, ყოველგვარ ზედმოქმედების გარეშე ხდება ყველგან ყოფილ მენშევიკების კონფერენციები.

ასე მოხდა თბილისშიც, სადაც ჩატარდა ოთხივე რაიონის ყოფილ მენშევიკთა საერთო კრებები.

დღეს, როგორც ვსთქვით, გაიხსნება საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელიც შესდგება ძველი რევოლიუციონერ მუშებისაგან და რომელნიც არიან წარმომადგენელნი მენშევიკურ პარტიის საუკეთესო ნაწილის, მისი პროლეტარულ ნაწილის.

ამ კონფერენციის მუშაობას და გადაწყვეტილებებს ექნება უაღრესი მნიშვნელობა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით და მის გარედაც.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია უმნიშვნელოვანესი საკითხები: დიქტატურა თუ დემოკრატია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტიის დაშლა, ეროვნული საკითხი, ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევა და სხვ.

„დემოკრატიის“ მთელი „მშვენიერება“ კარგად გამოსცადეს თავიანთ ზურგზე საქართველოს მშრომელ მასსებმა მენშევიკების ბატონობის დროს. ისინი დარწმუნდნენ, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა წესწყობილების გზით.

დღევანდელი კონფერენცია ამ საკითხში თავის ხმას შეუერთებს მთელი რევოლიუციონური მუშათა კლასის ხმას.

ამასთან დაგმობს მენშევიკური პარტიის ტაქტიკას, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასის დიქტატურის და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ, ტაქტიკას, რომელიც ემსახურებოდა ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებას.

ამასთან ლოღიკური დაკავშირებით, კონფერენცია დაშლილად, გაუქმებულად გამოაცხადებს მენშევიკური პარტიის თბილისის ორგანიზაციებს და გამოიტანს დადგენილებას ყოფილ მენშევიკურ პარტიის ყრილობის მოწვევაზე საქართველოს მასშტაბით, სადაც ფორმალურადაც უნდა დაესვას ჯვარი ამ უკვე ფაქტიურად არ არსებულ პარტიის არსებობას.

კონფერენციის დღის წესრიგში, როგორც ავღნიშნეთ, ცალკე მუხლადაა შეტანილი ეროვნული საკითხი.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ეროვნული საკითხი მენშევიკების დროს. მათ არამც თუ არ გადაჭრეს ის, უფრო გაამწვავეს ხალხთა შორის დამოკიდებულება; ნაციონალური შუღლი, მტრობა, ომები—აი რა ახასიათებდა მენშევიკურ საქართველოს.

ნაციონალურ საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრა, ერებ შორის თანასწორობის განხორციელება, მათ შორის მშვიდობიანობის და ძმური თანამშრომლობის დამყარება შესძლო მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

დღევანდელი კონფერენცია ამ გარემოებასაც გაითვალწინებს და დაადასტურებს ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს და მიღწევებს ამ სფეროში.

ყოფილ მენშევიკურ მასსის სულიერი განწყობილება საკმაოდ გამორკვეულია. მისი მოწინავე ნაწილი, თბილისის ყოფილი მენშევიკი მუშები—დღევანდელი კონფერენციის სახით ყველას გასაგონად იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას. ის წესს აუგებს მენშევიკურ პარტიას და ჩადგება რევოლიუციის მონაპოვართა დამცველების და განმამტკიცებლების მოწინავე რიგებში.

სოციალურმა ბუნებამ თავი იჩინა

„პარტიამ იმგვარად უნდა შეიმუშაოს თავისი ტაქტიკა“, რომ, აამოძრავებს რა ის დემოკრატიას, არ დაკარგოს თავისი სოციალისტური დროშა და არ გადაიქცეს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად“-ო წინასწარმეტყველურად აფრთხილებდა თავის პარტიას ნოე ჟორდანია რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის საოლქო და ტფილისის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, 1917 წლ. ოქტომბერში, ე. წ. დემოკრატიულ თათბირიდან დაბრუნების შემდეგ.

დღეს ზედმეტია განმეორება, რომ მენშევიზმმა, და განსაკუთრებით საქართველოს მენშევიზმმა, ვერ მოახერხა თავიდან აეცილებია წვრილბურჟუაზიულ პარტიად გადაქცევა, რომელმაც ფეხ-ქვეშ გაუგო სოციალისტური დროშა კონტრ-რევოლიუციონურ იმპერიალიზმს და თავისი სოციალ-დემოკრატიული პროგრამა ბურჟუაზიის დამხობის და პროლეტარულ დიქტატურის შესახებ შეუთანხმა საერთაშორისო კაპიტალისტურ რეაქციის საჭიროებებს და მოთხოვნილებებს. ეს ეხლა კარგად მოეხსენება თვით მენშევიკურ მასასაც, რომელიც წყევლა-კრულვით შორდება თავის პარტიას, რომელმაც ასე სასტიკად მოატყუა მისადმი მინდობილი პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები.

რით აიხსნება ქართველ მენშევიკების პარტიის გარდაქმნა? ძირითადი და უპირველესი მიზეზია ამ პარტიის სოციალური შემადგენლობა. იგი იყო თითქოს ქართველი საზოგადოების კლასობრივ შენობის დაპატარავებული ფოტოგრაფიული სურათი. ამ საზოგადოების სტრუქტურა კი ცნობილია: მრავალრიცხოვანი გლეხობა, საშუალო ფენები, კულაკები, შემდეგ მათ მიჰყვება უფრო მცირე რიცხოვანი ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, შემდეგ—აზნაურთა წოდება (მთელი ქართვ. ერის 5 ნახევ. პროც.!) და ბოლოს. მცირე რიცხოვანი პროლეტარიატი, რომლის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია კავშირი სოფელთან და დამოუკიდებელ მეურნეობასთან. თვითეულ კლასის და წოდების შორის იმყოფება—მრავალ რიცხოვანი ინტელიგენცია.

სოციალ-დემოკრატიული „მუშათა“ პარტია თავისი სტრუქტურით, როგორც ზევით ავღნიშნეთ, გამოხატავდა „ერის“ სტრუქტურას: მცირე რიცხოვანი მუშები, თავიანთი რევოლიუციონურობით, კლასიურ თვითშეგნებით ყველაზე მაღლა მდგომ მუშებს გარედან შემორტყმული ქონდათ სხვადასხვა სისქის ნაჭუჭი წვრილი ბურჟუაზიის, აჭრელებული ინტელიგენციის, განსაკუთრებით აზნაურების და სასულიერო წოდებისაგან შემდგარი. მანამ, სანამ სოციალ-დემოკრატიზმი მოასწავებდა პირველ რიგში აბსოლიუტიზმთან ბრძოლას სამოქალაქო თავისუფლებისათვის, გლეხების მიწების გადიდებისათვის და სხვა, მენშევიზმის ლიდერებმა ძალიან კარგათ იცოდენ თავიანთი პროგრამის სოციალისტური ნაწილი და წარმატებით ეკამათებოდენ აზნაურულ და წვრილ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. მაგრამ, როგორც კი მწარე სინამდვილემ დღის წესრიგში დააყენა რეალური და ძნელი ბრძოლა სოციალიზმისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური ბუნება, რომელსაც გარედან იფარავდა მენშევიკური პარტია სქელი არაპროლეტარულ ფენებით, ერთბაშათ გამოაშკარავდა: ამ ფენების აქტივობამ პარტიის პოლიტიკის მიმართულებაზე ზეგავლენის სახით, ყოველი საათობით იწყო ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ ლიდერებმა, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ სიტყვით ანგრევდენ კაპიტალიზმის საფუძვლებს, შიშით დაუშვეს ხელები იმ კაპიტალის წინაშე, რომელიც დამხობილ იქნა ოქტომბრის რევოლიუციის მიერ; გუშინდელმა ინტერნაციონალისტებმა თაყვანი სცეს ნაციონალიზმის ღმერთს; გუშინდელი რუსეთის „ველიკოდერჟავნიკები“—ჩხეიძე, წერეთელი და სხვები გადაიქცენ წვრილ ბურჟუაზიულ სეპარატისტებათ. საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე 1917 წ. ნოემბერში, ე. ი. სწორეთ ერთი თვის შემდეგ, რაც წვრილ ბურჟუაზიულ გარდაქმნისაგან აფრთხილებდა პარტიას, ნოე ჟორდანიამ გააკეთა ისეთი ნაციონალისტური მოხსენება, რომ ფედერალისტების და ნაციონალ-დემოკრატების პარტიებმა უარი განაცხადეს თავიანთ ორატორების გამოყვანაზე, რადგან ფიქრობდენ, რომ საქ. სოციალ-დემოკრატიის მომხსენებელმა ყველაფერი სთქვა ქართველი სპეკულიანტების და ქართველი მემამულეების სახელით. დეე, იმ თვალთმაქცებმა, რომელნიც თითქოს ვერაფერს ხვდებიან ან ქ სისინებენ მენშევიკ-მუშების „ღალატის“ შესახებ, იმ მუშების, რომელნიც სტოვებენ ჟორდანია-ჩხენკელის პარტიას, აგვიხსნან მენშევიკების ღალატის ის ფაქტი, რომელიც მოხდა 1917 წ. შემოდგომაზე, ღალატის, რომელმაც მტრული სანგრები გათხარა რუსეთის და ქართველ პროლეტარიატს შორის, ღალატის, რომელიც 1922 წელს დამთავრდა ქართველ მენშევიკების ფორმალურ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ კავშირით ჩოლოყაშვილების პარტიებთან ე. წ. ინტერპარტიული კომიტეტის სახით.

მუშათა კლასის წინაშე მენშევიკებისმაშინდელ ღალატისა ქ მენშევიკების მიმართ მუშების ეხლანდელ ღალატის შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც არის მიზეზისა და შედეგს შორის. პარტიის პროლეტარული ძირი გარშემორტყმული და შეზღუდული იყო წვრილ-ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ გრძნობებით, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ პარტიის მეთაურები და მუშათა არისტოკრატიიდან გამოსული ზოგიერთი პროლეტარებიც. რამოდენიმე წლის განმავლობაში იყენებდენ მასების ცრუმორწმუნეობას იმის ნაცვლათ, რომ გაეღვიძათ მათში მშრომელთა კლასიური თვითშეგნება. რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს პროლეტარებს და ნახევარ პროლეტარებს აიძულებდენ ემსახურებიათ მათთვის უცხო კლასიურ მიზნებისათვის. ამ იძულებითი კაენისებური მუშაობის შედეგები დღემდის ემჩნევა საქართველოს მშრომელთა სხეულს და მეურნეობას. საბჭოთა საქართველომ გაფანტა წვრილ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის ბურუსი, რომელმაც თავის ნავთსადგური მოიპოვა ანტანტის იმპერიალიზმის ფეხქვეშ. საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა იწყება.

საბჭოთა მუშტი ელვასავით დაეცა ყველას და მათ შორის მენშევიკურ პარტიის წევრების შეგნებასაც. ბევრი წავიდა ტყეში თავად ჩოლოყაშვილებთან და ცდილობდა დაემხოთ მუშურ გლეხური წესწყობილება ან მწარეთ ეკბინა მისთვის. მაგრამ სამი წლის განმავლობაში მენშევიკურ პარტიის ვერც ერთი პროლეტარული ელემენტი ვერ ჩაითრიეს ახალ წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლაში. ეს გარემოება ბევ რამეს მთქმელია: პროლეტარიატის სოციალური ბუნება სწორეთ ამაში გამოიხატა. მენშევიკურ პარტიის პროლეტარული მასა არ იღებდა მონაწილეობას გამოსვლებში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და სამი წლის განმავლობაში იცდიდა, თვალყურს ადევნებდა, სინჯავდა: სამი წლის საშინელმა ცილისწამებამ ბოლშევიკებზე შექმნა მათში სიფრთხილე და იჭვიანობა. მათ ეშინოდათ ხომ არ მოაქვთ ბოლშევიკებს წარმოების განადგურება, მუშების ტანჯვა, ეროვნულ თავისუფლებისა კულტურის გადაგვარება და მოსპობა.

ორი წლის განმავლობაში საქართველოს პროლეტარები და ნახევარ პროლეტარები, ყოფ. მენშევიკები თვალყურს ადევნებდენ, სინჯავდენ ახალი ხელისუფლების მუშაობას. მათ შეიგნეს ახალი ხელისუფლების ნამდვილი ბუნება, დარწმუნდენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას მოაქვს მუშათა კლასის და ერის განთავისუფლება. მაშინ მენშევიკ-პროლეტარებმა გადადგეს შემდეგი ნაბიჯი: მათ ჩამოიბერტყეს მენშევიზმის უკანასკნელი მტვერი და ისინი დადგენ საბჭოთა ხელისუფლების გზაზე კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს დამახასიათებელი მოვლენაა საერთოდ მსოფლიო მუშათა კლასისათვის, რომელშიაც იზრდება და მტკიცდება კომპარტია. ეს არ არის მოულოდნელი მუშათა კლასისათვის, პროლეტარულ ოჯახისათვის, რომელიც დღეს სიხარულით იღებს თავის შემადგენლობაში თავის ძმებს, რომლებმაც აღიარეს თავის შეცდომა.

მოულოდნელი და სასიკვდილოა ეს იმ მატყუარებისათვის, რომლებიც მუშათა კლასის ძალებს, სისხლს და კუნთებს ამოძრავებდენ მძარცველი და დამჩაგვრელი იმპერიალიზმის დასახმარებლად და საქართველოს პროლეტარები დაუმმობილეს თავადებს და ოფიცრებს

დღეს მუშურ-გლეხური საბჭოთა ოჯახი ერთიანდება. ყველა თავის მტრებს ის გაუსწორდება, როგორც წესი და რიგია.

ზ. ამია.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

შეთანხმება სრუტეების საკითხში და საბჭოთა მთავრობის ცნობა.

პარიზი. 21 ივლისი. გაზ. „ინფორმასიონის“ ლოზანას კორესპონდენტი საბჭოთა მთავრობის მიწვევას სრუტეების შესახებ დადებულ კონვენციაზე ხელის მოსაწერად სთვლის რუსეთის დე-იურედ ცნობათ.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ხელი მოაწეროს კონვენციას, აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო დიპლომატიურ აქტზე ხელის მოწერის ფაქტი უდრის საბჭოთა მთავრობის ცნობას.

ს. ს. რ. კ. და ლატვია.

რიგა. 21 ივლისი. ლატვიის ბანკის თავმჯდომარემ კალპინმა, პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ს. ს. რ. კავშირთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ დაიწყება არა უგვიანეს შემოდგომისა. შიში იმისა, რომ ლატვია მოექცევა ს. ს. რ. კ. სამეურნეო დამოკიდებულებაში, არ უნდა აკავებდეს ლატვიას ხელშეკრულების დადებისაგან, რომელი ხელშეკრულება დამყარებული იქნება ორივე ქვეყნის ინტერესების დაცვაზე. ლატვია ისე, როგორც მთელი ევროპა დაინტერესებულია ს. ს. რ. კავშირის ეკონომიური აღორძინებით. ს. ს. რ. კავშ. ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, რაც ფრიად სასურველიაო.

ს. ს. რ. კ. და სამხრეთ-სლავია.

ვენა. 21 ივლისი. სამხრეთ-სლავიის პარლამენტში ყველა ოპოზიციონურმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს ს. ს. რ. კავშირთან ურთიერთობის განახლებას. ბულგარეთის გადატრიალების და ინტერვენციის საკითხში სამხრეთ-სლავიის მთავრობის დამარცხების შემდეგ, ბულგარეთის პრესამაც დააყენა საკითხი ურთიერთობის განახლების შესახებ, მოიგონა რა მივიწყებული „რუსეთის ორიენტაცია“. მთავრობის გაზ. „ვრემია“ სწერს, რომ ს. ს. რ. კავშირთან ურთიერთობის განახლება არის გადაუდებელი საჭიროება. ლაპარაკობს რა სამხრეთ-სლავიაში კომუნისტურ პროპაგანდის საშიშროების შესახებ, გაზეთი აცხადებს, უმჯობესია რუსეთის, ვიდრე უნგრეთის ან იტალიის პროპაგანდაო.

სერბიის მსხვილ ბურჟუაზიის ორგანომ „სტროგოვინსკი გლაზნიკმა“ გამოიცვალა ტონი ს. ს. რ. კავშირის მიმართ და იმას მხარს უჭერს ს. ს. რ. კავშირთან ეკონომიურ დაახლოვებას.

რუსეთ-საფრანგეთის შერეული საზოგადოებები.

პარიზი. 21 ივლისი. აღმოსავლეთ ევროპის სააგენტო ბეჭდავს საუბარს სკობელევთან, რომელმაც განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს მოაწყოს შერეული რუსეთ-საფრანგეთის საზოგადოებები საბჭოთა მთავრობის მონაწილეობით; სკობელევმა აღნიშნა რამოდენიმე წინასწარი ხელშეკრულების დადება ნავთისა, ლითონისა, შაქრისა და სატყეო კონცესიების შესახებ.

კარელიის საკითხი

თავს იმართლებენ.

მოსკოვი. 22 ივლისი. ფინეთის მთავრობის მიერ ერთა ლიგაში კარელის საკითხის შეტანის წინააღმდეგ რუსეთის მთავრობის პროტესტის გამო, ფინეთის მთავრობა ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისადმი გაგზავნილ ნოტაში ცდილობს დაამტკიცოს თავისი უფლებები კარელის ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში, რომელ უფლებასაც ვითომდა არღვევდეს საბჭოთა მთავრობა.

ამხ. ჩიჩერინის საპასუხო ნოტა.

საპასუხო ნოტაში ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ **საბჭოთა მთავრობა სთვლის ფინეთის მთავრობის მოქმედებას საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევად და მას არ შეუძლია დაეთანხმოს ე. წ. ერთა ლიგის, როგორც „მიუდგომელ ტრიბუნალის“ დახასიათებას, ვინაიდან ლიგის შემადგენლობაში არიან ისეთი სახელმწიფოები, რომელნიც არა თუ უარს ამბობენ სხვა და სხვა მიზეზით საბჭოთა მთავრობის იურიდიულ ცნობაზე, არამედ ხელს უწყობენ რუსეთისაგან მთელი ოლქების ძალდატანებით ჩამოშორებას.** რუსეთის მთავრობა აქცევს ფინეთის მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გადააქვს რა საჩივარი ერთა ლიგაში, უკანასკნელი არალოიალურად იქცევა რუსეთისადმი და საბაბს აძლევს მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს მტრული ნაბიჯები გადასდგან რუსეთის წინააღმდეგ, იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობა უთმობს ფინეთის ხალხს მთელ რიგ საკითხებში, მაგ. სავაჭრო ხელშეკრულება ნევაზე ნავოსნობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ ფინეთის მთავრობა ნოტების გაცვლა-გამოცვლით ამოწურულად ჩათვლის ამ საკითხს და სავსებით თანახმა იქნება რუსეთთან აწარმოვოს ურთიერთი ეკონომიური დაახლოვების პოლიტიკა.

საკონტრიბუციო საკითხი

კომპრომისიული დადგენილება.

პარიზი, 21 ივლისი. გაზ. „მატენ“მა გამოაქვეყნა სარეპარაციო საკითხის კომპრომისიული გადაწყვეტის პროექტი, რომლითაც მოკავშირეები გერმანიას მოსთხოვენ 35—40 მილიარდ ოქროს გადახდას 10—15 ვადაში; მოითხოვენ აგრეთვე პასიური წინააღმდეგობის შეჩერებას და ფინანსებზე კონტროლის უფლებას. საფრანგეთი და ბელგია დასთანხმდენ საერთაშორისო ექსპერტების კომისიის შექმნაზე და რურში ოკუპაციის მაგიერ, შემოიღებენ რეინის პროვინციებში არსებულ წესებს.

ინგლისის მოთხოვნილება.

ლონდონი, 21 ივლისი. „დეილი ჰერალდ“-ის კორესპონდენტის აზრით, ინგლისის მთავრობა მოსთხოვს გერმანიას პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას, ხოლო საფრანგეთისაგან მოითხოვს ადგილობრივ მართვა-გამგეობაში და რურის საშრეწველო საქმეებში ჩარევაზე ხელის აღებას და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. კორესპონდენტის აზრით, საფრანგეთი და გერმანია დასთანხმდებიან ამ პირობებზე.

სერიოზული უთანხმოება.

რომი. 21 ივლისი. ინგლისის პრესის ერთი ნაწილი იტყობინება, რომ საფრანგეთის და ინგლისის კაბინეტებს შორის სერიოზულ უთანხმოებას აქვს ადგილი გერმანიის საპასუხო ნოტის ზოგიერთ მუხლების გარშემო. ამის გამო ნოტის გაგზავნა ფერხდება.

მთელი იმედი ინგლისზეა.

პარიზი. 21 ივლისი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის საქმიანი წრეები სულ უფრო და უფრო სკეპტიკურად უცქერიან პასიურ წინააღმდეგობის განგრძობის შესაძლებლობას. მთელ იმედს ინგლისზე ამყარებენ.

ოკუპაციის გარშემო

ფრანგების რეპრესიები.

ბერლინი. 21 ივლისი. **საფრანგეთის ჯარისკაცები თოფს ესვრიან გერმანელებს, რომლებიც საზღვარზე გადასვლას ცდილობენ. ქალაქ ზვეინიდან საფრანგეთის ხელისუფლებამ 525 რკინისგზელი გადაასახლა.**

ქვანახშირის კონფისკაცია.

ბერლინი. 21 ივლისი. საფრანგეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა მთელი მარაგი ქვა-ნახშირისა, რაც კი იმყოფებოდა ტისსენისა და ნიუ-ჰეიმის ქარხნებში. ქარხნის დირექტორი დაპატიმრებულია.

გერმანიის ამბები

ნაციონალისტების შავრაზმელები აშკარათ გამოდიან

პარიზი. 22 ივლ. მიუნხენში, გიმნასტიურ დღესასწაულის სახით, გაიმართა ნაციონალისტების მანიფესტაციები. დღესასწაულზე სიტყვა წარმოსთქვა ლიუდენდორფმა. მანიფესტანტებმა ქუჩებში გაიარეს მონარქისტული დროშებით და მონარქისტული ჰიმნის სიმღერით.

არეულობა ბრესლავლში

ბერლინი. 22 ივლ. ბრესლავლის არეულობამ გაცილებით უფრო ფართე ხასიათი მიიღო, ვიდრე მოსალოდნელი იყო მისი დაწყების დროს. **დაარბიეს 30-ზე მეტი დიდი მაღაზია, უმთავრესად სურსათ-სანოვაგისა და ფართლეულობისა, და რამდენიმე სასტუმრო. ქუჩებში, არეულობის დროს დემონსტრანტებიდან მოკლულია 5 კაცი და მრავალი დაჭრილია. ქვემო სილეზიის პრეზიდენტმა საალყო წესები გამოაცხადა ბრესლავლსა და მის სანახებში. პოლიციას ნაბრძანები აქვს სასტიკად ჩააქროს ყოველივე არეულობა. დააპატიმრეს რამდენიმე ასეული კაცი.**

ლოზანას კონფერენცია

ახლო-აღმოსავლეთის საკითხი არ არის გადაჭრილი.

ბერლინი. 21 ივლისი. იტალიის გაზეთი „კორიერა დელლა სერა“ ეხება ლოზანაში დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას და ფიქრობს, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, რადგან ეკონომიური საკითხების უმრავლესობა ჯერ კიდევ ღიათ არის დატოვებული. გაზეთის აზრით, ახლო-აღმოსავლეთის საკითხი შედის ახალ ფაზაში, მაგრამ ის საბოლოოთ გადაჭრილი არ არის.

ამსტერდამის ინტერნაციონალების კონგრესი

რუსეთის პროფკავშირების წარმომადგენლების გამოსვლა.

ვენა 21 ივლისი. ამსტერდამის გაერთიანებულ პროფკავშირთა კონგრესზე, ქიმიურ და ბამბის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ კამათის დროს, დიდის თანაგრძნობით შეეგებნენ რუსეთის ქიმიკოსთა კავშირის წარმომადგენელს ამხ. დობროვოლსკის და სმოლენსკის, რომლებმაც დაასურათეს რუსეთის პროფესიონალური მოძრაობა და გაუზიარეს ცნობები რუსეთის სოციალური კანონმდებლობის შესახებ. მათ ხაზი გაუსვეს რუსეთის პროლეტარიატის მისწრაფებას ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

სხვადასხვა ამბები

სამხრეთ სლავია

მთავრობის რეპრესიები.

რომი, 21 ივლისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ სლავიის მთავრობას განზრახვა აქვს დაატუსაღოს გლეხების ლიდერი რადიჩი, მთავრობის წინააღმდეგ მკაცრი ოპოზიციის წარმოებისათვის.

ფიუმეს საკითხი.

ვენა, 21 ივლისი. სამხრეთ სლავიის ოფიციალური პრესა იუწყება: ახლო მომავალში შესაძლებელია განახლდეს მოლაპარაკება ფიუმეს შესახებ.

სამხრეთ სლავია დასთანხმდება იტალიის მიერ ფიუმეს ანექსიაზე, თუ კომპენსაციას მიიღებს დალმაციაში.

ინგლისში.

ბრიტანეთის მთავრობის მძიმე მდგომარეობა.

ლონდონი. 19 ივლისი. თემთა პალატაში ვაჭრობის მინისტრმა ლოიდ-გრიმმა დაასურათა ბრიტანეთის ვაჭრობის საშინელი მდგომარეობა და განაცხადა, რომ მისი გაუმჯობესება ამ ჟამად ძნელიაო. საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება კოლონიალურ ვაჭრობის განვითარებას. მინისტრის აზრით, რუსეთის საექსპორტო კრედიტები არ შეიძლება გაფართოვებულ იქნას მანამ, სანამ რუსეთში არ შეიქმნება ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს ვაჭრობის სრულ უშიშროებას.

საბჭოთა კავშირში

ამხ. კალინინის გამგზავრება.

მოსკოვი. 22 ივლისი. ამხ. კალინინი გაემგზავრა შორეულ აღმოსავლეთში ადგილობრივ საბჭოთა აპარატის გასაცნობათ. მოგზაურობა ერთი თვე გაგრძელდება.

რ უ ს ე თ ი.

სრულიად რუსეთის ცაკის მდივანი.

მოსკოვი. 22 ივლისი. ამხ. საპრონოვის შვებულებაში წასვლის გამო სრულიად რუსეთის ცაკის მდივნად დაინიშნა ამხ. ენუქიძე.

ძველი ესერები და მენშევიკები.

მოსკოვი. 22 ივლისი. ომსკში ამ დღეებში მოხდება ყოფილ ესერების საქალაქო კრება და საოლქო კონფერენცია. გაზ. „რაბოჩი პუტ“-ში 12 ყოფილი ესერი მოუწოდებენ ამხანაგებს რუსეთის კომუნისტურ პარტიაში გადასვლისაკენ.

ჩიტაში 4 ცნობილი ესერი პარტიიდან გამოვიდა. ზემო უდინსკში მენშევიკების ადგილობრივმა კომიტეტმა გამოაცხადა თავისი ორგანიზაციის დაშლა.

საბჭოთა მედიცინის 5 წლის თავი.

მოსკოვი. 22 ივლისი. 21 ივლისს გაიმართა საბჭოთა მედიცინის 5 წლის თავის დღესასწაული. ამხ. სემაშკომ აღნიშნა საექიმო დარგის მუშაკთა ერთგულება და აგრეთვე მშრომელი ხალხის დახმარება, რამაც საშუალება მისცა საბჭოთა მედიცინას, მიუხედავათ ომისა, ბლოკადისა და სიმშილობისა, მიეღწია დიდ წარმატებისათვის.

ამხ. სოლოვიევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მედიცინის ამოცანაა მუშათა კლასის ფიზიკური ძლიერების განმტკიცება და წითელი არმიის ჯანმრთელობის დაცვა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: ამხ. ენუქიძემ ს. ს. რ. კავშირის ცაკის და სრულიად რუსეთის ცაკის სახელით, ამხ. ლუნაჩარსკიმ განათლების სახ. კომისარიატის სახელით, ამხ. ზახუტოვმა შრომის სახ. კომისარიატის, ამხ. კრჟიჟანოვსკიმ სახელგან. გეგმათა სამმართველოს და ამხ. მაფფიმ კომინტერნის სახელით.

გაეგზავნა მისალმებანი ამხ. ლენინს და ტროცკის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვები პოლონეთში.

ვარშავა. 21 ივლისი. პოლონეთის ყველა სამრეწველო ცენტრებში იფეთქა გაფიცვებმა ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებებით; გაფიცვა მოედო პაიანიცის, ველსკის და ბიალის საფეიქრო მრეწველობას.

მუშების მიტინგი.

ვარშავა. 21 ივლისი. ვარშავაში მიტინგზე, რომელსაც 15,000 მეღითონე დაესწრო, **გამოტანილი იქნა საპროტესტო რეზოლიუცია მუშების დახვრეტის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლოძში, ჩენსტოხოვოში და ბიალეში.** შრომის მინისტრის წინადადებაზე მუშებთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მწარმოებლებმა უპასუხეს, რომ გაფიცვები წარმოიშვენ კომუნისტების გავლენით და კავშირების სურვილის წინააღმდეგ, რისთვისაც ამ უკანასკნელებთან მოლაპარაკება მწარმოებლებს ზედმეტათ მიაჩნიათ და დაიწყებენ მოლაპარაკებას მხოლოდ მაშინ, როდესაც კავშირები აიძულებენ გაფიცულთ დაიწყონ მუშაობა.

მთავრობის ზომები.

ვარშავა. 22 ივლისი. შრომის სამინისტროში შესდგა საგანგებო სხდომა იმ გაფიცვების გამო, რომელიც მთელ პოლონეთს მოედო. შინაგან საქმეთა სამინისტროში განხილული იყო საკითხი ქვეყანაში წესრიგის დაცვის შესახებ. იმ ადგილებში, სადაც გაფიცვებია გავრცელებული, გაიგზავნა დამხმარე ჯარები, ქუჩებზე დადიან გაძლიერებული პატრულები. ვარშავას პოლიცია მზათ არის ბრძოლისათვის.

პროფკავშირების ცენტრალური კომისია თავის მოწოდებაში ხაზს უსვამს გაფიცვების ეკონომიურ ხასიათს, კიცხავს მთავრობას, რომელმაც სისხლის ღვრა გამოიწვია და სოლიდარობისა და გაფიცულთათვის დახმარებისაკენ მოუწოდებს მუშებს.

სისხლის მღვრელი შეტაკება ლოძში.

ვარშავა. 12 ივლისი. **ლოძში გრძელდება სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის. მიტინგის შემდეგ ცხენოსანი პოლიცია ესროდა და ხმლებით სცემდა მუშებს; მოკლულია ერთი და მძიმეთ დაიჭრა ხუთი. ლოძის სამხედრო უფროსმა მუშების დელეგაციას, რომელმაც პროტესტი განაცხადა ამ ამბების გამო, უპასუხა რომ პოლიცია ესროდა მხოლოდ კომუნისტებს.**

ლოძის გაფიცვა დამთავრდა.

ვარშავა. 22 ივლისი, **ლოძის ფეიქრების გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. შრომის მინისტრის დაროვსკის მრეწველებთან მოლაპარაკებამ შედეგათ მოჰყვა მუშების მოთხოვნილებების მიღება და შრო-**

ყოფილ მენშევიკების თბილისის საქალაქო კონფერენცია

დღეს, 24 ივლისს, საღამოს 5 საათზე
მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში
მოწვეულია

ქ. ტფილისის ყოფილ მენშევიკების საერთო საქალაქო კონფერენცია

წარმომადგენლობის ნორმა ყოველ 10 კაცზე—1.

1 რაიონის სარაიონო კონფერენცია, რომელიც არჩეული იყო ყოველ 10 კაცზე—1, მთლიანად დაესწრება საქალაქო კონფერენციას.

დღის წესრიგი:

1. დიქტატურა თუ დემოკრატია. (ამხ. მარტინოვის მოხსენება).
2. საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტიის დაშლა (ამხ. ფარნიევის მოხსენება).
3. ეროვნული საკითხი (ამხ. რუხაძის მოხსენება).
4. კონფერენციის დეკლარაცია.
5. ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევის შესახებ.
6. მიმდინარე საქმეები.

საინიციატივო ბიურო.

მის ხელფასის 67 პროც.-ით გადიდება.

ინგლისი

ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა

ლონდონი. 21 ივლ. გაფიცვის კომიტეტისა და კავშირის ოფიციალურ ბელადთა მოლაპარაკების შემდეგ, ლივერპულსა და ბირკენხედში ნავთსადგურის მუშებმა მუშაობა განაახლეს. მანჩესტერშიაც განახლდება მუშაობა ამ დღეებში. გაფიცვის კომიტეტი აწყობს მასიურ მსვლელობას გელმერის გემთა საამშენებლო სახელოსნოებში, გაფიცვის გაგრძელების სასარგებლოდ.

უნგრეთი

მუშების დაპატიმრება

ვენა. 21 ივლ. დატუსაღებულ 111 უნგრელ მუშათაგან, რომელთაც კომუნისტობას აბრალებენ, 12 მუშა გადაეცა სასამართლოს. მათ ბრალდებათ პირველ მაისის მოწოდების გავრცელება, რომელსაც ხელს აწერდა ბელაკუნი და სხვა უნგრელი კომუნისტები, რომელთაც კავშირი ქონდათ რუსეთთან. **დატუსაღებულებს საშინლად აწამებდა პოლიცია. ერთი პატიმართაგანი ცემით მოკლეს.** ყველა დატუსაღებულნი ლითონზე მომუშავენია, უნგრეთის პროფესიონალური მოძრაობის თვალსაჩინო წევრნი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

მდგომარეობა საქართველოში

(საუბარი ამხ. ელიავასთან).

მოსკოვი. 22 ივლისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ელიავამ გაბათილა ემიგრანტების პრესის ჭორები საქართველოში არსებულ ტერორისტულ რეჟიმის შესახებ. ამხ. ელიავას სიტყვით, ამჟამად საქართველოში ანტი საბჭოთა პარტიების ლიკვიდაციის გამო, რეპრესიები, სიკვდილით დასჯის სახით აღარ იხმარება. სამოქალაქო ომის ინიციატივა საბჭოთა ხელისუფლებას არ ეკუთვნოდა, იგი გამომდინარეობდა ანტი-საბჭოთა პარტიებიდან, რომელთაც წასული წლის გაზაფხულზე დასდვეს ერთმანეთთან ხელშეკრულება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი საბრძოლველი ფრონტის შესახებ. ამ პარტიების მიერ ღაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში" პირველ ხარისხოვან როლს მენშევიკები თამაშობდენ. არ ჰქონდა რა საშუალება აშკარა გამოსვლებში ჩაება მასები, კომიტეტმა მოაწყო სისტემატიური ბანდიტური თავდასხმები მატარებლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე. ბანდები განადგურებული იქნენ. კომიტეტის სამხედრო ცენტრი, რიცხვით 90 კაცი დაპატიმრებულ იქნა კომიტეტის თავმჯდომარის, მენშევიკ ქარცივაძის, მენშევიკურ მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ყოფილ ამხანაგის მეთაურობით . 15 დაპატიმრებულნი დეხვრეტილ იქნა. ბანდიტიზმის ლიკვიდაციამ სრული დაშლა გამოიწვია მენშევიკურ პარტიაში, რომლიდანაც დღეს გამოდიან მისი უძველესი წევრები. ამ ჟამად გლეხები და მუშები მენშევიკების წინააღმდეგი არიან და მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას.

პარტიული ცხოვრება

საქ. ახკომკავშირის დუშეთის სამაზრო კომიტეტის მუშაობის მოკლე მიმოხილვა ივნისში.

საანგარიშო თვეში ახკომკავშირის ცეკას წევრებმა და მაზრკომის მდივანმა შემოიარეს ადგილები მუშაობის მდგომარეობის დეტალურათ გაცნობის მიზნით. 5 ივნისს შესდგა რაიინსტრუქტორებისა და პასუხისმგებელ ამხანაგების თათბირი, რომელიც სასურველად ჩატარდა და დადებითად გადაჭრა მთელი რიგი კავშირის წინაშე წამოჭრილი კითხვებისა. ამ რიცხვში დაიწყო მუშათა და გლეხთა კონფერენციები მთელ მაზრის მასშტაბით და ამ მიზნისათვის პარტკომის დავალებით გაგზავნილ იქნა ადგილებზე კომკავშირის სამაზრო კომიტეტის სამივე პრეზიდიუმის წევრები. ასევე განმეორდა 17 ივნისს, დუშეთის აჯანყების 5 წლის თავზე. აღნიშნული ორი კამპანიების ჩატარებაში კომკავშირის პასუხისმგებელ ამხანაგების მხურვალე და აქტიურმა მონაწილეობამ, დროებით ხელი შეუშალა შიგნით კავშირში მუშაობას.

თვის ბოლოს შესდგა კომკავშირის და პარტინსტრუქტორების თათბირი, რომელიც გაგრძელდა ორი დღე და რომლის დამთავრების შემდეგ გაიხსნა კომკავშირის ინსტრუქტორების ცალკე თათბირი. უკანასკნელი გაგრძელდა ორი დღე. დღის წესრიგში იდგა მოხსენებები ადგილებიდან. ამ საკითხზე მოხსენებით გამოდიოდნენ თვით ინსტრუქტორები და მათ გადაგვიშალეს თვალწინ მუშაობის მდგომარეობის შემდეგი სურათი:

1. ყველაზედ უკეთესად კავშირის მუშაობა დაყენებულია მცხეთაში. არსებობს 9 კომკავშირის უჯრედი, რომელთაგან ხუთში არსებობს პოლიტწრე, სადაც გადიან პოლიტიკურ ანბანს, 7 უჯრედში არის—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, რომლებშიაც წევრების 50 პროც. მეტმა შეისწავლეს წერა კითხვა. სკოლის მუშაობა შეფერხდა ზაფხულში, ვინაიდან სკოლები დაიკეტა და მასწავლებლებიც წავიდ-წამოვიდნენ. დამოკიდებულება საბჭოთა ორგანოებთან კარგია.

2. მუხრანის რაიონში არსებობს 5 უჯრედი, თუმცა ამ რაიონში კომკავშირის მუშაობა მოიკოჭლებს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ჯერ თვით საბჭოთა ორგანოებთან ვერ არსებობს სათანადო კავშირი; მეორეც კომკავშირი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ბანდიტიზმთან ბრძოლაში. ეხლა მიღებულია ზომები წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოთ და პოლიტ ალმზრდელობით დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. საგურამოს თემში არსებობს 6 უჯრედი და პოლიტიკური და წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვადაციო სკოლები.

4. მჭადიჯვარში არსებობს 4 უჯრედი, ყველა უჯრედებთან არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ.

5. ფასანაურის რაიონში არსებობს 7 უჯრედი. არსებობს წერა-კითხვის და პოლიტ-უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. მეცადინეობა ვერ მიმდინარეობს რეგულიარულად, მიზეზია უჯრედების სიშორე ერთი-მეორისაგან და თვით წევრების ჩამორჩენილობა. დანარჩენი ყველაფერი რიგზეა.

6. ყაზბეგის რაიონში ეხლა გაიგზავნა ინსტრუქტორი კავშირის აქტიური წევრი, რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს ორგანიზაციები.

7. ბაზალეთის რაიონში არსებობს 7-მდე კომკავშირის უჯრედები. თვითეულ უჯრედთან არის როგორც წერა-კითხვის, აგრეთვე პოლიტ-უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. კრებები ხდება კვირაში ერთხელ სისტემატიურათ. ყველა კამპანიების ჩატარებაში კომკავშირი ღებულობს მხურვალე მონაწილეობას.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(23 ივლისი).

ჩერვონცები	17,200
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.	1750
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	16,400
ჩეკები	14,400
დოლარი ეფექტ.	3,450
ჩეკები	3, 00
ოსმალ. ლირა ეფექტ.	2,500
ჩეკები	2150
იტალიის ლირა	120
ფრანგული ფრანკი	180
საბჭ. ფულ. ნიშ.	18,50

მუშკოპის ფასები.

(23 ივლისი).

პური 2 ხარისხ. გირ.—45 ათ., ფქვილი თეთრი—100, საპონი როსტ.—360 ათ., საპონი „ტოლე"—400 ათ., ბრინჯი აგდაშის—150 ათ., ხანის ბრინჯ.—280; ერბო—700 ათ., ლობიო წითელი—20 ათ., ლობიო კართოფილი—35, პამიდორი—150 ათ., ბურღული—75 ათ., ჭარხალი—50 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(23 ივლისი)

ნატეხი შაქარი—850, ფხვნილი შაქარი—680 700, ბრინჯი—200, 1 ხარისხის ფქვილი—120, ერბო—680-800, კარაქი—700-800, თუშური ყველი—400, ზეთი—400, წითელი ლობიო—40-50, მწვანე ლობიო—70 80, კართოფილი—50, ჭარხალი—70. პამიდორი—180-200, ბადრიჯანი თითო ცალი—30 50, ბურღული—75, კვერცხი—38-40 ათასი.

ს. მ. უ. ს. ცენტრალურ სატრანსპორტო განყოფილებაში.

(ივნისის მოღვაწეობის მიმოხილვა).

საზაფხულო სეზონის დაწყებიდან სატრანსპორტო ცენტრალურ განყოფილების მუშაობა მანგლისსა და კოჯორს შუა საავტომობილო მიმოსვლის მოწყობის გამო გამოცოცხლდა.

ივნისის განმავლობაში ცენტრალურ სატრანსპორტო სამმართველოში ირიცხებოდა: მსუბუქი ავტომობილი—3 (მუშაობაშია 2), საბარგო და ნახევარი საბარგო—50 (მუშაობაში იყო 25) ფაეტონი 10 (მუშაობაში იყო 5), პოვოზკა და ჯაგვი—31 (მუშაობაში იყო 12), ლინეიკა 3 (მუშაობაში იყო 1). ცოცხალი ინვენტარი ივნისში შემცირდა, რადგან ნაწილი ბორჯომში გადაიყვანეს (3 ცხენი და 7 მსხვილფეხა საქონელი). ამ ჟამად ადგილობრივ არის 43 ცხენი, 8 რქიანი საქონელი და 4 აქლემი.

შეკეთებულია 19 ავტომობილი. ამ თვის განმავლობაში დახარჯულა 330 ფუთი ბენზინი და 100 ფუთი ზეთი. წინა თვესთან შედარებით ბენზინი და ზეთი თითქმის 100 პროც. მეტი დახარჯულა. ეს გარემოება აიხსნება საავტომობილო მიმოსვლის გაფართოებით.

საბარგულისა და გარაჟის მუშაობა ივნისის თვეში შემდეგში გამოიხატება:

ფაეტონი გაქირავებული იყო 233 ჯერ, ტვირთის საზიდავი—418, გადაზიდული იყო 15260 ფუთი ბარგი. ავტომობილებით გადაზიდულია 45570 ფ.

საანგარიშო თვის განმავლობაში საბარგულე განყოფილების მუშაობაში ცვლილება არ მომხდარა; გარაჟის მუშაობამ კი იმატა, როგორც გავლილი მანძილით, ისე გადაზიდულ ტვირთის რაოდენობის მხრივ, რაც აიხსნება კოჯორ-მანგლისის შუა მიმოსვლის დაწყებით.

საქართველოს ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტში.

(ივნისის მოღვაწეობის მიმოხილვა)

ივნისის განმავლობაში თამბაქოს ტრესტის განკარგულებაში იმყოფებოდა 8 ქარხანა: 6 თბილისში, 1 ბათომში და 1 ქუთაისში, 1 კოლოფების ქარხანა, 1 ასანთის ქარხანა, 1 „ბავშვთა საკვების" ქარხანა.

1, 2, 3, 4 თამბაქოს ქარხანა, ასანთისა და „ბავშვთა საკვების" ქარხანა შეუჩერებლად მუშაობდა 26 სამუშაო დღის განმავლობაში. დანარჩენ ქარხნებმა კი 208 სამუშაო დღის ნაცვლად იმუშავეს 83 სამუშაო დღე.

მე-6 თამბაქოს ქარხანაში 208 სამუშაო დღის მაგიერ ქარხანამ მხოლოდ 12 დღე იმუშავა.

ზემოხსენებულ ქარხნებში საანგარიშო თვის გასულს სულ იყო 1241 მუშა ხელი, ამათგან 16 კაცი საადმინისტრაციო ნაწილისა, 103 კონტორის მოხელენი 948 მუშა. წინა თვესთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 52 კაცით შემცირდა შტატების შემცირების გამო. ყველა ქარხნებმა საერთოდ ფაქტიურად იმუშავა 15639 სამუშაო საათი. გამოტოვებულ სამუშაო საათების რაოდენობა უდრიდა 4614 (29,4 პროც.) მათ შორის საპატიო მიზეზების გამო—4489 (97,1 პროცენტი) და არა საპატიო მიზეზით გაცდენილი 130 (2,9 პროცენტი).

ივნისის განმავლობაში თამბაქოს 7 ქარხანაში დამზადებული იყო 23.840 გირვანქა თამბაქო. 1 ივლისისათვის დარჩა 105,506 გირვანქა, იმავე ხნის განმავლობაში გაყიდულა 344.611 გირვანქა თამბაქო, ამათგან ტრესტის საკუთარ გამყიდველებზე და სახელმწიფო დაწესებულებებზე გაცემულა 22,679 გირვანქა თამბაქო (65,7 პროცენტი). კერძო პირებზე კი გაყიდულა 11,782 გირ. (34,3 პრ.) ამავე ხნის განმავლობაში დამზადებულია 31,302,100 ცალი პაპიროსი. 1 ივლისისათვის იყო 100,589,170 ცალი. გაყიდულა პაპიროსი სულ 21,666,190 ცალი. აქედან ტრესტის საკუთარ გამყიდველებზე და სახელმწიფო დაწესებულებებზე გაყიდულა 15,499,190 ცალი (71,6 პროც.), ხოლო კერძო პირებზე 6,161,000 ცალი (28, 4 პროც.).

მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა თამბაქოს ტრესტზე აქციზმა, რომელიც ძალიან დიდია და ამას გარდა ხშირად იცვლება, რის გამო შეუძლებელი ხდება ტრესტისათვის ზედმიწევნითი და განსაზღვრული ბიუჯეტის შედგენა.

ტრესტს განზრახვა აქვს როგორმე შეამციროს წარმოების თვითღირებულება კონცენტრაციის მეოხებით და სხვა ზომები. ამის გარდა ტრესტმა შუამდგომლობა აღძრა, რათა მას გაუდიდონ საბრუნავი თანხა და კრედიტი.

სასოფლო მეურნეობა

მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატის საგეითლო განყოფილებაში.

ბრძოლა საქონლის გადამდებ ავადმყოფობასთან.

საქონლის გადამდებ ავადმყოფობასთან ბრძოლის განყოფილება ივნისის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ფართოდ გავრცელებულ მსხვილფეხ საქონლის ჭირს და ციმბირის სნეულებას, რადგან ზაფხულის სეზონი საქონლის ჭირის გავრცელებისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის.

მსხვილფეხ საქონლის ჭირი განსაკუთრებით ძლიერ გავრცელდა ბორჩალოს, ტფილისისა და დუშეთის მაზრებში. ზემოხსენებულ მაზრებში იყო სულ ჭირის 6 პუნქტი. ტფილისის მაზრაში ჭირი შემოიპარა ახალქალაქის მაზრიდან, ხოლო დუშეთის მაზრაში კავკავის რაიონიდან, ყველა ახალ პუნქტზე მოხდა საქონლის აცრა. აუცრეს კომბინაციური მეთოდით 1590 სულ ფსხვილფეხ საქონელს, აცრის შედეგი ყველგან ჩინებული გამოდგა. აცრის შემდეგ საქონლის სიკვდილიანობა 0,5 პროცენტს არ აღემატებოდა. გადამდებ ჭირთან ბრძოლა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადაც მკურნალობა სასწრაფოდ სწარმოებს, და გაჩენისთანავე ჭირის შესახებ ცნობები იგზავნება ჭირთან საბრძოლველ განყოფილებაში. უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჭირი საქონელში ძალიან სწრაფად ვრცელდება. მაზრის ექიმებს არ შეუძლიათ მთელი მაზრის ფარგლებში უშუალოდ მეთვალყურეობა გასწიონ, ვინაიდან მაზრებში სავეტერინარო პერსონალი საკმაო არ არის. ბევრია ისეთი მაზრა, რომელსაც მხოლოდ საერთო ბეითალი ჰყავს ამავე დროს მოსახლეობა, რომელსაც გათვალისწინებული არ აქვს ჭირისგან მოსალოდნელი საფრთხე, ვიდრე რამოდენიმე ათეული მსხვილფეხი საქონელი არ გაწყდება, ცნობას არ იძლევა. უკანასკნელი გარემოება ყოველთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს საქონლის ჭირთან ბრძოლაში.

ციმბირის ჭირი. ივნისში ციმბირის ჭირი აღმოჩენილი იქნა ტფილისის, ბორჩალოს და რაჭის მაზრებში. ყველა ზემო დასახელებულ მაზრაში ჭირი თავის დროზე იქნა აღმოჩენილი და ამის გამო მას მასიური ხასიათი არ მიუღია. ამ ჟამად დასახელებულ რაიონებში სწარმოებს ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო აცრა.

სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, განუწყვეტლივ ამზადებს ციმბირის ჭირის ვაქცინებს და ასაცრელ შრატს და ამის გამო ამ პრეპარატების ნაკლებობას ადგილი არ აქვს.

აგრონომიული დახმარების ქვეგანყოფილება.

აგრონომიულმა ქვეგანყოფილებამ ქართლში გაგზავნა ინჟინერი სპეციალისტი სასოფლო მეურნეობის იარაღების შესამოწმებლად, რომელიც ადგილობრივ ორგანიზაციის განკარგულებაში არის, დაუზიანებელი იარაღები განაწილებულია გასაქირავებელ პუნქტებზე, ხოლო დაზიანებულთა შეკეთება სწარმოებს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და იარაღებს, რომელნიც ამ მოკლე ხანში უცხოეთიდან არის აუწყობლად მიღებული, სპეციალისტები აწყობენ და შემდეგ ქვეგანყოფილება გაანაწილებს სამაზრო ორგანიზაციებს შორის, რომელნიც თავის მხრივ შეავსებენ იარაღების გასაქირავებელ სადგურებს ამ იარაღების მცხოვრებლებში გასავრცელებლად, აქამდე დიდი კრიზისი იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაკლებობის გამო, ახალი მანქანების მიწოდება ამ კრიზისს შეანელებს.

აგრონომიული ყრილობა. მიმდინარე თვეში განზრახულია აგრონომიული დახმარების ქვე-განყოფილების უწყებაში მომუშავე მუშაკთა აგრონომიული ყრილობის მოწვევა, რომლის მთავარი დანიშნულებაა ადგილობრივი აგრონომიული დახმარების საქმის გამორკვევა, და საზოგადოებრივი აგრონომიის პროგრამის დეტალური შემუშავება ახლობელი წლებისათვის.

სასოფლო სამეურნეო მცენარეთა კულტურის სტიქიურ უბედურებისაგან დაზღვევა. მიწად-მოქმედების სახ. კომის. აგრონომიული პერსონალი მოწვეულია იმ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც მიზნად აქვს გააცნოს სოფლელი მოსახლეობა სეტყვისაგან მცენარეთა კულტურის დაზღვევის იდეას და აგრეთვე მთელ ამიერ-კავკასიის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის პრაქტიკული განხორციელება.

სასოფლო-მეურნეობის მავნეებთან ბრძოლა.

დუშეთისა და გორის მაზრებში. მაისში დიდ-ძალი მინდვრის თაგვი გაჩნდა. მცხეთის რაიონში ნაჩვენები იყო 80 დესიატინის სივრცეზე ადგილების მოწამვლა. გორის მაზრაში თაგვების საწინააღმდეგო მუშაობა სწარმოებდა 12 დესიატინაზე. თაგვების მოწამვლა სწარმოებდა საჯაროთ გლეხების თანდასწრებით.

კახეთში აღმოჩენილია კალიების დიდი რაოდენობა მარტო ანაგა—წნორის წყლის რაიონში კალიამ დაფარა 3,000 დესიატინა. დიდი ძალი კალია არის აგრეთვე ჯუენ—თაბანის და გუდისაანის რაიონებში. ზემოხსენებულ რაიონებში კალიის რაოდენობა თვითეულ კვადრატიულ 3 არშინზე უდრის 90—100 ცალს. მავნეებიდან განადგურებულია მზესუმზირას ფოთლები და მათგანვე ისპობა პური ნათესები. კალიასთან ბრძოლა სწარმოებს დაჩქარებით და დასრულდება ორი-სამი კვირის განმავლობაში. ბრძოლას აწარმოებს ოთხი რაზმი.

წალკის რაიონში. დაწყებულია მუშაობა მავნეების გამოსაკვლევად და მათთან ბრძოლის საწარმოებლად, ამავე დროს სენაკის მაზრაში გაგზავნილია ისტრუქტორები იქ გაჩენილ სიმინდის ყანების მავნეებთან და ხილეულობის მავნე მწერებთან ბრძოლის მოსაწყობად.

ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტის შესახებ

(რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის მიმართვა)

ამხანაგებო!

რ. კ. პ. მოსკოვის კონფერენციაზე მიღებულ სურვილის თანახმად, მოსკოვში არსდება **„ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტი"**. ამ ინსტიტუტის ძირითად დებულებებს ამ ჟამათ ამუშავებს საორგანიზაციო კომისია, მაგრამ ამ კომისიის მუშაობა, როგორც ინსტიტუტის გახსნის ვადაც, რომელიც სრულებით მიძღვნილი იქნება ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის, დამოკიდებულია უმთავრესათ იმ მასალების სიმდიდრისაგან, რომელიც იქნება ინსტიტუტის მოწყობაზე მომუშავე ამხანაგების ხელში.

ინსტიტუტისათვის საჭირო მასალის რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მიწოდების მიზნისათვის, რ. კ. პ.˝ც. . თხოვნით მიმართავს რ. კ. პ. ყველა წევრებს და აგრეთვე იმ პირებს, რომელნიც რ. კ. პ. გარეშე სდგანან, მაგრამ ამა თუ იმ შემთხვევის გამო აქვთ ვ. ი. ლენინის წარწერები, ბარათები, მისი ხელით ნაწერი მოკლე შენიშვნები და სხვა, გადასცენ ეს დოკუმენტები „ლენინის სახელობის ინსტიტუტის" არქივს. ამასთანავე, ამხანაგები, რ. კ. პ. წევრები და აგრეთვე პარტიის გარეშე პირები, თუ არ მოისურვებენ მათ განკარგულებაში მყოფ ვ. ი. ლენინის დოკუმენტების შეწირვას, ცეკა წინადადებას აძლევს მათ დაუთმონ ისინი ინსტიტუტს ამა თუ იმ პირობებით **ახლის გადასაღებად,** დედნების დაბრუნების სრული გარანტიის ქვეშ.

დოკუმენტების გადაცემის დროს შეიძლება დატოვებულ იქნეს უფლება მათი არ გამოქვეყნების შესახებ განსაზღვრული ვადით. დოკუმენტები შეიძლება აგრეთვე გადაცემული იქნეს ინსტიტუტისთვის დახურულ კონვერტებში აღნიშვნით, რომ კონვერტის გახსნა არ უნდა მოხდეს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

ცენტრალური კომიტეტი ამას გარდა წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტებისა, ფრაქციების და უჯრედების მდივნებს დანიშნონ სპეციალური ამხანაგები ამ დაწესებულებების არქივების გასასინჯავათ და მათგან ისეთი ქაღალდების **გამოსაყოფად,** რომელთაც ამხ. ლენინის წარწერები, რეზოლიუციები ან და შენიშვნები აქვს, აგრეთვე მისი ხელთნაწერების. ამ დოკუმენტების დედნები გაგზავნილი უნდა იქნენ დაზღვეული ბარათებით „ლენინის ინსტიტუტში" მოსკოვში, საქმეებში კი უნდა დარჩეს მათი ასლები. ამ სამუშაოსათვის დანიშნულ ამხანაგების სახელების ცნობა უნდა გაიგზავნოს „ლენინის ინსტიტუტში" ამხ. კამენევის სახელზე ასლით ცეკას სამდივნოში, ორი კვირის განმავლობაში ამ ცირკულიარის მიღების დღიდან.

რ. კ. პ. წევრებმა არ უნდა დაივიწყონ ის გარემოება, რომ ქაღალდის ყოველ პატარა ნაგლეჯს, სადაც არის ვ. ი. ლენინის წარწერა ან და შენიშვნა, შეუძლია დიდი განძი შეიტანოს საერთაშორისო რევოლიუციის წინამძღოლის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში და შეუძლია აგვიხსნას ის ამოცანები და სიძნელენი, რომელნიც სდგანან იმ გზაზე, რომელზედაც ჩვენ მივდივართ ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით.

დოკუმენტები გთხოვთ გამოგზავნოთ: მოსკოვის საბჭო—ამხ. კამენევს.

რ. კ. პ. ც. კ. მდივანი **ი. სტალინი.**

ლენინის ინსტიტ. დირექტორი **ლ. კამენევი.**

ეროვნული საკითხი საქართველოში

ამხ. ა. რუხაძის თეზისების პროექტი ყოფ. მენშევიკების ტფილისის საქალაქო კონფერენციისათვის

1. ერის განსაზღვრა.

1. ერი არის ადამიანთა განსაზღვრული ისტორიულად წარმოშობილი ერთიანობა, ამასთანავე ერთიანობა არა გვარ-ტომობრივი, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ მაგ. იტალიის ერი წარმოიშვა რომაელებისა, გერმანელებისა, ეტრუსკებისა, ბერძნებისა, არაბებისაგან და სხვ. საფრანგეთის ერი წარმოიშვა გალლებისა, რომაელებისა, ბრიტებისა და გერმანელებისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებზე და სხვა ერებზე.

2. ერი არ არის შემთხვევითი, ეფემერული კონგლომერატი, არამედ იგი არის ადამიანთა მტკიცე ერთიანობა, ვინაიდან შემთხვევითი ერთიანობა, როგორც ამას ადგილი ქონდა კირის და ალექსანდრე მაკედონელის დიდი სახელმწიფოების დროს, სრულიადაც არ არის ერი.

3. მაგრამ არა ყოველი მტკიცე ერთიანობა წარმოშობს ერს (ავსტრიის და რუსეთის მაგალითი), აქ საჭიროა ენის ერთიანობა, რაც არის ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. არ არის ერი, რომელიც სხვა და სხვა ენებზე ლაპარაკობდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორი-სამი ერი არ ლაპარაკობდეს ერთ ენაზე.

4. ერის განსამარტავად საჭიროა ტერიტორიის ერთიანობაც. მთელ ქვეყნიერებაზე გაფანტული ერი არ არის შეკავშირებული ერის საერთო ინტერესებით.

5. ტერიტორიის ერთიანობის გარდა ერისათვის საჭიროა შინაგანი ეკონომიური კავშირი.

6. მაგრამ არც ყველაფერი ეს განსაზღვრავს ერს. ყოველივე ამას გარდა საჭიროა კიდევ სულიერ სახის და ფსიქიური ბუნების თავისებურება, რომელიც მუშავდება შთამომავლობიდან შთამომავლობაში.

7. ამგვარად მეცნიერება აწესებს ერის შემდეგ ნიშნებს: ენის, ტერიტორიის, ეკონომიურ ცხოვრების, ფსიქიური ბუნების ისტორიულად დამყარებული ერთიანობა, რაც გამოიხატება კულტურის ერთიანობაში.

ყველა ამ ნიშნების ჯამი გვაძლევს ჩვენ ერს.

(სტალინი წერილთა კრებული ეროვნული საკითხის შესახებ გვ. 7—11).

2. იძლევა თუ არა ქართველი ერი ყველა ამ ნიშნებს.

8. ქართველი ერი არის ერთი უძველესთაგანი და ამასთანავე ძლიერთაგანი ერი, ვინაიდან სუსტ ერს არ შეეძლო გაეძლო იმ ქარიშხალისა და ორომტრიალისათვის, რომელიც განიცადა საქართველომ მთელი მისი არსებობის მანძილზე. და თუ ამ ერს დღემდის არ დაუკარგავს თავისი ფიზიონომია, ეს აიხსნება იმით, რომ ადამიანთა ერთიანობა აქ არ არის შემთხვევითი, ეფემერული, არამედ არის მტკიცე.

9. ერის შემდეგი დამახასიათებელი ნიშანია—ენის ერთიანობა, ესეც გვაქვს.

10. გარდა ამისა ჩვენ აქ ვხედავთ ტერიტორიის ერთიანობასაც, შინაგან ეკონომიურ კავშირსაც და სულიერ სახის თავისებურებასაც.

11. თუ შპრინგერის თანახმად „ჯამი ნიშნებისა, რომელიც ანსხვავებს ერთი ეროვნების ხალხს მეორე ეროვნების ხალხისაგან, და ფიზიკურ და სულიერ თვისებათა კომპლექსი, რომელიც ანსხვავებს ერთ ერს მეორესაგან", ხოლო ბაუერის სიტყვით: „ერი არის ადამიანთა შეერთება, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ხასიათის ერთიანობით ბედის ერთიანობის ნიადაგზე", ამ მხრივაც საქართველო სავსებით აკმაყოფილებს ამ განმარტებას.

12. აქედან ცხადია, რომ საქართველოს აქვს სრული უფლება მოითხოვოს ყველა ის უფლებები და ისეთ პირობების შექმნა, რომელიც საჭიროა ერის სწორი განვითარებისა და სრულ-ყოფისათვის.

III. სოციალ-დემოკრატიის შეხედულება ეროვნულ საკითხზე რუსეთში.

13. ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე სხვა და სხვა ისტორიულ და პოლიტიკურ პირობებში სხვა და სხვა ნაირი იყო და ამ შეხედულებამ თანდათანობით ევოლიუცია განიცადა.

14. ჯერ კიდევ კაუცკი ეროვნულ საკითხის შესახებ რუსეთში 1906 წელში სწერდა: „სანამ სწარმოებს საერთო ბრძოლა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, მანამ არა მარტო რევოლიუციონურ ფენების საერთო ინტერესებს შეადგენს, რათა ეროვნული წინააღმდეგობანი და პრობლემები შეძლებისდა გვარად იქნას მივიწყებული, არამედ მებრძოლი პროლეტარიატის ინტერესებსაც შეადგენს, რათა მის რიგებში სუფევდეს სრული ინტერნაციონალური სოლიდარობა. პროლეტარიატისათვის ეს სოლიდარობა გამოწვეულია არა მარტო მომენტის სიტუაციით, არამედ იგი არის აუცილებელი მისი ყოველდღიური ბრძოლისათვის.

15. რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის 11 ყრილობამ (1903 წ. აგვისტოში), უარყო რა ფედერაციის პრინციპი, დაადგინა: „მცხოვრებთა უფლებას შეადგენს განათლების მიღება სამშობლო ენაზე, რაც იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფოს და თვითმართველობის ორგანოების ხარჯზე საჭირო შკოლების გახსნით, თვითეულ მოქალაქის უფლებას შეადგენს ილაპარაკოს კრებებზე თავის ენაზე".

საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ყველა ადგილებში სახელმწიფო ენასთან ერთად სამშობლო ენის შემოღება; თვითგამორკვევის უფლება ყველა ერებისათვის, რომელნიც შედიან სახელმწიფოს შემადგენლობაში.

16. რუს. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის გამაერთიანებელმა ყრილობამ (1906 წ. აპრილში) ასე ვსთქვათ დაამტკიცა ეს დადგენილება და წინადადება მისცა ყველა ეროვნულ სოც.-დემ. პარტიებს შეერთებულიყვენ რუს. სოც. დემოკრ. პარტიასთან.

17. შემდეგ კულტურულ ავტონომიის მოთხოვნა (ლიკვიდატორების ყრილობა) მიღებული იყო სოც.-დემ. პარტიისათვის.

18. ჩვენში, საქართველოში, 1917 წლამდე სოც.-დემოკრატიული პარტია ყოველთვის უჭერდა მხარს რუსეთთან გაერთიანებას ჩვენთვის ფართო საოლქო თვითმართველობის მინიჭების საფუძვლებზე.

IV. თებერვლის რევოლიუცია. ოქტომბრის გადატრიალება და საქართველოს დამოუკიდებლობა.

19. რუსეთის ძველი რეჟიმის მიერ საუკუნოებით ჩაგრულმა და ექსპლოატაციის ქვეშ მყოფმა ერებმა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ პირველად იგვრძნეს ძალა და შეუტიეს საბრძოლველად მჩაგვრელებს.

20. რუსეთის განაპირა კუთხეები დაიფარენ ეროვნული დაწესებულებებით, ეროვნული საბჭოებით და ამგვარად დაიწყო რუსეთის ეროვნულ სახელმწიფოებად დაშლის პროცესი.

21. ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელიც სახელმწიფოს მოექცა სათავეში თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, შესცვალა ძველი ეროვნული ჩაგვრა, ახალი ჩაგვრის კიდევ უფრო უხეში ფორმით. (ფინეთის სეიმის გარეკა, უკრაინის კულტურულ დაწესებულებათა დარბევა და სხვა).

22. კავკასიის სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ მთავრობის ამ გალაშქრებას ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ მექანიკურად უწყობდენ ხელს, გამოდიოდენ რა ისინი ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის შენარჩუნების პრინციპიდან, მიუხედავათ იმისა, რომ ეროვნული მოძრაობა აქაც გამწვავდა და საჭირო იყო მისთვის ანგარიშის გაწევა.

23. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გამწვავებული ეროვნული მოძრაობა თითქმის დასრულდა ოქტომბრის გადატრიალებით, როდესაც გამოცხადებულ იქნა მშრომელთა მასების, ჩაგრულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და ღიარებულ იქნა ფინეთის დამოუკიდებლობა.

24. ქართველი სოც.-დემოკრატია, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ავტონომიას და ფედერაციას, ოქტომბრის გადატრიალების და ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ ერთბაშად იცვლის ფრონტს და მხარს უჭერს ჯერ ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რათა თავიდან აეცილებია ბრესტის ხელშეკრულება და გამიჯნულიყო ოქტომბრის რევოლიუციისაგან.

25. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ აგვაცდინა ჩვენ ბრესტის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი მუხლის შესრულება—ოსმალეთისათვის ბათომის, ყარსის და არდაგანის გადაცემა.

26. მაგრამ ამ მუხლმა ხალხთა მასებში გამოამჟღავნა ის შუღლი, რომელიც წინად ღვივდებოდა გაბატონებულ რუსეთის ერის მიმართ.

27. ძველი რეჟიმის მიერ საუკუნოებით შეურაცყოფილმა ეროვნულმა გრძნობამ ერთბაშათ იფეთქა და იგი გადაიქცა რუსეთისადმი მტრულ განწყობილებად.

28. რამდენადაც ჩვენთვის ხელსაყრელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა ბრესტის ხელშეკრულების თავიდან ასაცილებლად, რაც შეადგენდა რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს, იმდენად დამოუკიდებლობამ მოგვცა მინუსი რუსეთის პროლეტარიატისაგან ჩამოშორების გამო.

29. განხეთქილება ქართველ და რუსეთის პროლეტარიატის შორის თანდათან იზრდებოდა და ღრმავდებოდა, მაგრამ ამ განხეთქილების თავიდან ასაშორებელ ზომებს სერიოზულად არ იღებდა არც ერთი მხარე.

30. ოქტომბრის რევოლიუცია, რომელიც დაიწყო ცენტრში, პირველსავე დღეს გავრცელდა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და უახლოვდებოდა რა განაპირა კუთხეებს, თან და თან ედებოდა მათ.

31. რამდენადაც ოქტომბრის რევოლიუციის ტალღა უახლოვდებოდა საქართველოს, ეროვნული თვითდაცვის გრძნობა თანდათან ძლიერდებოდა საქართველოში, სოც.-დემ. სულ უფრო და უფრო ამაგრებდა თავის პოზიციებს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის პლატფორმაზე, ბევრი ხედავდა რა სოციალისტურ ხელისუფლების მოახლოვებაში ძველ მჩაგვრელებს და იყო რა შეპყრობილი ძველი შიშით, როგორღაც ინსტიქტიურად გაურბოდა მას.

32. გავემიჯნეთ რა რუსეთის პროლეტარიატს, ჩვენ აღმოვჩნდით ანტანტის იმპერიალისტების ხელში, რომელნიც ბატონობდენ აქ ისე, როგორც თავის სახლში.

33. არსებითად სრული დამოუკიდებლობა ჩვენ არ გვქონია. ჩვენ ანტანტის ხელში ვიყავით და ჩინური კედლით გამოვეყავით რუსეთის პროლეტარიატს.

34. რუსეთის პროლეტარიატთან კონტაქტით კი ჩვენ უფრო ჩქარა დავიცავდით დამოუკიდებლობას, ვიდრე ანტანტასთან. მაგრამ ჩვენი შეცდომა იმაში იყო, რომ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის პროლეტარიატის სახეში ჩვენ რატომღაც ჩვენი ერის ძველი მჩაგვრელები წარმოვიდგინეთ.

35. ჩვენი ხაზი ეროვნულ საკითხის შესახებ გადახრილი იყო იმ მხარეზე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და ხელსაყრელი იყო იმპერიალისტებისათვის: რუსეთის პროლეტარიატისაგან ჩამოშორება და ანტანტის იმპერიალიზმთან კავშირი.

36. ანტანტას, სცნობდა რა ის საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურე, განსაზღვრული მიზანი ჰქონდა—მიეღო ამისთვის კომპენსაცია თავის ინტერესების დაკმაყოფილების მხრივ აღმოსავლეთში.

37. ამიტომ ანტანტასთან კავშირის გაწყვეტის პრინციპი და რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნიადაგზე ხშირათ წამოჭრილა ჩვენს პარტიაში.

V. ეროვნული მოძრაობა და პროლეტარიატის როლი მასში.

38. ეროვნულ მოძრაობაში მთავარი მოქმედი პირია ბურჟუაზია.

39. მხოლოდ ბურჟუაზიული წესწყობილების განვითარების დროს, ახალ ბაზრების ძებნის პირობებში ჩვენ ვამჩნევთ ეროვნულ მოძრაობის ზრდას, რომელშიაც ხშირათ ჩათრეული არიან დაბალი ფენებიც.

40. მბრძანებელი ერის ბურჟუაზია ყოველთვის უსწორდება უცხოეთის ბურჟუაზიას შკოლების შემცირების, მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის, ენის დევნის და სხვ. სახით.

41. ეს შევიწროება სამძიმოა. ჩაგრული ერის პროლეტარიატისათვისაც. ამის გამო პროლეტარიატიც ებმის ამ ბრძოლაში მისი კლასიური თვით შეგნების დონის მიხედვით.

42. და მხოლოდ პროლეტარიატის ხელში ძალა-უფლების გადასვლას შეუძლია ბოლო მოუღოს ეროვნულ შუღლს.

VI. ეროვნული საკითხი საქართველოში.

43. საქართველოში წინეთ რელიეფურათ სჩანდა ანტი-სომხური ნაციონალიზმი. ამის მიზეზები მდგომარეობდა იმაში, რომ სომხური მსხვილი ბურჟუაზია ჰკლავდა ქართულ წვრილ, ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ბურჟუაზიას და ამით ხელს უწყობდა მის ანტი-სომხურ ნაციონალიზმისაკენ გადახრას.

44. სომხური ბურჟუაზიის სიძლიერის მიზეზით ცარიზმის დროს თბილისის საბჭოში 1916 წელს ქართველებს ჰყავდათ—17,6 პროც. ხმოსნები, სომხებს—56,6 პროც., დანარჩენ ერებს 25,9 პროც. იმ დროს, როდესაც ქართველები საერთოდ მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდენ, მათ საბჭოში ჰყავდათ მხოლოდ—17,6 პროც. ხმოსნებისა.

45. 1907 წ. ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა შემადგენლობა ასეთი იყო: სომხები—50,8 პროც., ქართველები—23,1 პროც , რუსები—20,8 პროც., დანარჩენი ეროვნებები—5,3 პროცენტს.

46. რევოლიუციისა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ეროვნულ ჩაგვრას ბოლო მოეღო. 1923 წელს თბილისის საბჭოში ქართველები შეადგენენ—43,4 პროც , სომხები—19,4 პროც , რუსები—26,1 პროც., სხვა ეროვნებები—11,1 პროც.

47. თუმცა ეხლაც ვერ არის საკმაოდ დაცული პროპორცია, თბილისის მოსახლეობა ამ ჟამად შემდეგ სურათს წარმოადგენს: ქართველები—34,7 პროც., სომხები—36,6 პრ. რუსები—16,5, დანარჩენი ეროვნებები—12,2 პროც., მაგრამ მოსახლეობის საერთო რიცხვიდან თუ გამოვაკლებთ არა მშრომელ ელემენტს, რომელიც მოკლებულია უფლებას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, მაშინ წარმომადგენლობა საბჭოში ცოტათ თუ ბევრათ სწორი გამოდის და ყოველ შემთხვევაში აქ არ არის ქართველი ერის უფლებების შეკვეცა და შევიწროება.

საქართველოს დედა ქალაქის აღმასკომის მოსამსახურეთა შემადგენლობა კი ეხლა ასეთია: ქართველები—61 პროც., სომხები—19 პროც., რუსები—11 პროც., დანარჩენი ეროვნებები—9 პროც.

48. ჯერ კიდევ მენშევიკების დროს სახელმწიფო ენათ ცნობილი ქართული ენა საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით კი რუს, კომ. პარტიის XII ყრილობის შემდეგ, უფრო მეტის სიმტკიცით ტარდება, ვიდრე ოდესმე.

49. თუ გადავალთ მუშებისა და მოსამსახურეების შემადგენლობაზე, რომელნიც საქართველოს წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშაობენ, ჩვენ შევამჩნევთ, რომ აქაც არ არის ეროვნული ჩაგვრა. ასე საქართველოს 76.672 მუშა-მოსამსახურეებიდან—ქართველები არიან—50,8 პროცენტ., სომხები—20,0 პროც., რუსები—19,2 პროც., დანარჩენი ეროვნებები—10 პროც.

თბილისში კი, კერძოთ, 40,843 მუშა-მოსამსახურეებიდან ქართველებზე მოდის—37,1 პროც., სომხებზე—28,7 პროც., რუსებზე—23,6 პროც. დანარჩენ ეროვნებებზე—10,6 პროც.

50. აქედან აშკარაა, რომ საქართველოში ადგილი არ აქვს ქართული ელემენტის განდევნას დაწესებულებებისა და წარმოებებიდან, რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ მუშათა კლასის მტრები.

VII. როგორი უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ეროვნულ საკითხზე.

51. 1913 წ. ლენინი სწერდა: „იმისათვის, რომ სხვადასხვა ერები თავისუფლათ და მშვიდობიანათ სცხოვრობდნენ ერთმანეთთან ან და შორდებოდენ ერთმანეთს (როგორც მათთვის ხელსაყრელია) სხვადასხვა სახელმწიფოების დაარსებით, ამისათვის საჭიროა სრული დემოკრატიზმი, რომელსაც მუშათა კლასი იცავს. არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას. არავითარი შევიწროება, არავითარი უსამართლობა ეროვნულ უმცირესობისადმი, აი პრინციპი მუშათა დემოკრატიის".

ეს პრინციპი სავსებით მისაღებია ჩვენთვის.

52. რევოლიუციას არ შეუძლია არ მისცეს ფართო უფლებები სრულ დამოუკიდებლობამდისაც კი წინეთ დაჩაგრულ ერებს.

გერმანელ მუშების რევოლიუციო-

მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

ოთხშაბათიდან, 25 ივლისიდან, დაიწყება კამპანია ის წარდგენისა საბჭოს წევრების მიერ თავიანთ ამრჩევლების წინაშე.

არიშის წარდგენის ჩასატარებლად პრეზიდიუმმა მო- ცია უფო საბჭოს წევრებს, რაიონების მიხედვით, ა სია გადაეგზავნა სათანადო რაიონებს. ყველა დი_ამხანაგები ვალდებულია გამოცხადდეს სამ- 24 ივლისს, საღამოს 7 საათზე, აღმასკომის შე- (ყოფ. სათათბირო დარბაზი), სადაც მათთვის გა- ი იქნება საინსტრუქციო მოხსენება.

2—1

საბჭოს პრეზიდიუმი

როფკავშირებში

ტელეფონის და რადიო- ფის მუშაკთა კავშირის ს შემდგენელ კომისიისაგან.

ტელეფონის და რადიო-ტე- ს მუშაკების კავშირის წერი- ისტორიის შესაქმნელად ამა- ის ცენტრალურმა კომი- სკოვში შეადგინა ცენტრა- მისია, რომელშიაც შედიან ცხოვრების აქტიური მონა-

ას დავალებული აქვს ძლიერ მგებლო და რთული ამოცა- ულება, მან თავი უნდა მოუ- ავშირის ცხოვრებიდან, დღი- ჩასახვისა დღემდის, ყველა ლებო მომენტებს და აღდგი- რგანიული დამოკიდებულება წარსულსა და აწმყოს შო-

ოცანა თხოულობს განუზომელ მუშაობას. გადასინჯული ენეს ფ. ტ სასამართლოს და ბის არქივები და სხვა ისტო- მასალების მქონე ადგილები, ომოჩენილ იქნეს მოწოდებები, მაციები, წერილები, დღიუ- სხვა ბეჭდვითი საბუთები, აც ასე თუ ისე დამოკიდე- აქვთ ფ. ტ. მოძრაობასთან; მოძრაობის აქტიურ მონაწილე- ოგრაფიის და ავტობიოგრა- მოდგენა და კავშირის ცხოვრების ისეთი მონაწილეთა აღმოჩენა, რომლებიც დღეს მას ჩამოცილებული არიან, მაგრამ შეუძლიათ კავშირის ისტორიისათვის ძვირფასი მასალების მოწოდება და სხვ.

ცხადია, ისეთი დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარებული უნდა იქნეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მიწა-წყალზე, არ ძალუძს მარტო ცენტრალურ კომისიას, ამიტომ ამ კომისიის დასახმარებლად ფ. ტ., ტელეფონის და რადიო-ტელეგრაფის მუშაკების კავშირის საოლქო კომიტეტებთან არსდება საოლქო კომისიები, რომელთა მოვალეობას შეადგენს ადგილობრივათ მუშაობა და შეგროვილი და დამუშავებული მასალის ცენტრალურ კომისიისათვის გადაგზავნა.

ა.-კ. საოლქო კომიტეტთან შექმნილია კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ბერძენიშვილი, ფურცელაძე, ჰელიძე და არუთინოვი.

კომისია სთხოვს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ცალკე პირებს, როგორც ფ. ტ. მომუშავეთ, ისე კერძო პირთ, რომელთაც შეუძლიათ ისეთი ზეპირი ან წერილობითი მასალების მოწოდება, რომელიც ასე თუ ისე ეხება ფ.-ტ. კავშირის ცხოვრებას, გადასცენ საოლქო კომისიას, რომელიც არსებობს ა.-კ. ფ.-ტ., ტელეფონის და რადიო-ტელეგრაფის საოლქო კომიტეტთან. (მუშათა სასახლე 81 ნომერი ოთახი).

ფ.-ტ., ტელეფონის და რადიო ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ისტორიის შემდგენელი საოლქო კომისია.

რაპნის მაზრის შრომის განყოფილების მუშაობა

(1923 წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივლისამდე).

შრომის განყოფილების მუშა- დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭი- დავხედოთ თუ რა მდგომარე- იყო შორაპნის მაზრა ა. წ. და- ში.

არ გაუგონია ის საშინელი დობა, რომელიც მოხდა შო- მაზრაში შემოდგომაზე და მაც დიდი ზიანი მიაყენა მას. საკუთრებით ჭიათურის მრეწ- ა, რადგანაც ნიაღვარმა წალე- დი რაოდენობა დამზადებული ისა.

მ დროს ჭიათურაში ქონდათ ი სამუშევრები წვრილ მოი- ეებს, რომლებიც მუშების ექსპლოატაციას ეწეოდენ. შრო- ნყოფილების მიერ მაშინ იქნა ული ზომები უკანასკნელის მო- ბად.

ეგ, როდესაც საზოგადოება მ დაიწყო დამზადებული მად- ზიდვა, მრეწველობაც გაფარ- ა, რასაც მოყვა შრომის კანონების დარღვევაც. ამიტომ შრომის განყოფილებამ საჭიროდ დაინახა საკონფლიქტო კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდა შრომის განყოფილების და პროფკავშირის წარმომადგენელი და სახალხო მოსამართლე. კომისიაში მუშაობა გაჩაღდა სულ მოკლე დროის განმავლობაში. მოხდა 11 სხდომა და გაირჩა 24 საქმე, რომელნიც სისრულეში იქნა მოყვანილი. შემდეგშიაც შემოდიოდა საჩივრები, მაგრამ არა ისეთი მწვავე და ხშირი.

შრომის კანონების დარღვევის ასაშორებლად განყოფილებამ დაგზავნა ცირკულიარული წერილები, ინსტრუქციები და გააკრა განცხადებანი. ამას გარდა შემოვლილ იქნა მაზრა ჩხარის გამოკლებით და გაკეთებულ იქნა მოხსენებები შრომის კანონების შესახებ.

მიუხედავათ ამისა მაინც ხდებოდა შრომის კანონების დარღვევა და ჭიათურის შრომის ინსპექტორმა შეუდგინა სხვა და სხვა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს 26 ოქმი. ამათგან ზოგი ცენტრს გადაეგზავნა, ზოგს პირობითი სასჯელი გადაუწყვიტა, დანარჩენ რვაზე კი დადებულ იქნა ჯარიმა 245 მანეთი ოქროთი, ამათგან წვრილ კულტურულ მწარმოებლებს ეპატიათ 85 მანეთი ოქროთი. 160 მანეთი ოქროთი კი განყოფილებამ აიღო. 75 პროც. დანიშნულებისამებრ გადასცა დამზღვევ კასას, ხოლო 25 პროცენტი კი მოხმარდა განყოფილების საორგანიზაციო ხარჯებს.

დამზღვევი კასა ქ. ჭიათურის თავის სიმაღლეზე სდგას, ფული სალაროში თავის დროზე შემოდის. ექვსი თვის განმავლობაში შემოსულია 29,950,227,482 მანეთი, გასულია 21,395,641,147 მან.

შრომის განყოფილებამ სათანადო ყურადღება მიაქცია უმუშევრობის საკითხს. ჯერ კიდევ იანვარში, როდესაც ჭიათურის წარმოება თითქმის დახურული იყო, შრომის ბირჟას მაინც საკმაო უმუშევარი ყავდა, ამიტომ მან დაიწყო წმენდა.

მოულოდნელად ხმა გავრცელდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, რომ თითქო ჭიათურაში აუარებელი მუშა-ხელის მოთხოვნილებაა და მას მოაწყდა სხვა და სხვა ადგილებიდან სამუშაოს მაძიებელნი.

შრომის განყოფილებამ შორაპნის მაზრის ფარგლებში დაგზავნა ცირკულიარული წერილები და განკარგულებანი, რომ ხალხი არ დაძრულიყო.

მიუხედავათ მრავალ გაფრთხილებისა ხალხის დენა მაინც არ წყდებოდა, მაშინ შრომის ბირჟა იძულებული შეიქნა ბირჟაში ჩაწერა შეეჩერებია და განიზრახა ჩაწერილთა გაწმენდაც, მაგრამ საანგარიშო პერიოდში ეს არ მოხერხდა.

ამ 6 თვის განმავლობაში შრომის ბირჟაზე აღირიცხა 2,698 უმუშევარი, 1,222 კაცი გაიგზავნა სამუშაოზე, უპირატესობა პროფკავშირის წევრებს ეძლეოდა. ამ ჟამად ირიცხება ბირჟაში 1,476 კაცი.

დახმარება გაეწია 187 უმუშევარს 757,250,000 მანეთით, განურჩევლად იმისა—პროფკავშირის წევრი იყო თუ არა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს არტელების ცუდი მდგომარეობა. მაზრაში არსებობდა ორი არტელი: ერთი ქ. ჭიათურაში და მეორე ქ. ზესტაფონში, მაგრამ ორივე დაიშალა. საჭირო იყო სადგ. შორაპანში შავი ქვის გადამტვირთველ მუშებისაგან არტელის შექმნა, მაგრამ ეს დღემდი ვერ მოხერხდა, მიუხედავათ იმისა, რომ მის ჩამოყალიბებისათვის ძალიან მოწადინებული იყო სამაზრო შრომის განყოფილება.

ვიოლეტა.

მოძრაობის ინტერესების თვალ- ით მარქსი ჯერ კიდევ 1848 მოითხოვდა, რომ გერმანიის ვებულ დემოკრატიას გამოეც- ია და განეხორციელებია იმ თა თავისუფლება, რომელ- გერმანელების მიერ იყვენ ული, სწორეთ ინგლი- მუშების რევოლიუციონურ ის თვალსაზრისით მარქსი 1869 მოითხოვდა ირლანდიის გამო- ინგლისისაგან.

რტიუნისტებისა და ბურჟუა- რეფორმისტების საწინააღმდე- რომელთაც მცირე ერების გა- ვის თავისუფლება უტოპიურათ განუხორციელებლათ მიაჩნდათ, ა მარტო ეკონომიურ არამედ ტიკურ კონცენტრაციასაც პრო- ულათ სცნობდენ, მარქსმა წამო- მცირე ერების გამოყოფის თა- ლება და ყველა ქვეყნების ეტარების კავშირი ერთა თა- რობის ნიადაგზე.

მაგრამ შეუძლიათ გვიპასუხონ, პროლეტარიატის ხელისუფლე- როს არ არის საჭიროება ეროვ- განცალკევებაში. მაგრამ არ დავივიწყოთ, რომ ინტერნაციო- რი კულტურა არ არის ინნაცი- ური კულტურა. ინნაციონალუ- ლტურა, რომელიც არ უნდა არც რუსული, არც ქართული, სომხური, არც პოლონური და ოდ წმინდა კულტურული უნდა უაზრობაა.

ინტერნაციონალურ იდეებს იანთ ახლოს იყვენ მუშათა თან მხოლოდ მაშინ, როდესაც ი შეგუებული არიან იმ ენასთან, ეზედაც მუშა ლაპარაკობს და ონკრეტულ ეროვნულ პირობებ- რომელშიაც ის სცხოვრობს.

ქართველ ერის გულში მრავა- ის ჩაგვრამ მწარე მოგონებები ვა. თითეული, სხვა პირობებ- მნიშვნელო ფაქტი, რომელიც ველი ერის ნაციონალურ გრძნო- ეხავს, საყოველთაო ნაციონა- აღშფოთებას იწვევს. ამიტომ თველოში ნაციონალური სა- ფრთხილათ და წინდახედუ- მიდგომას საჭიროებს.

6. ამიტომ უნდა სწარმოებდეს ოლა ამ ერის შევიწროების წი- მდეგ ვისი მხრითაც არ იყოს ეს.

57. ამასთან ერთად უნდა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართველი ერის მშრომელი მასების თავისუფალ განვითარებას თავისუფალი სახელმწიფო არსებობის და თანასწორობის საფუძველზე.

58. ეროვნულ უმცირესობათათვის, რომლებიც საქართველოს შიგნით იმყოფებიან შექმნილი უნდა იქნეს ისეთი პირობები (სკოლები, ენა და სხვა), რომ ისინი გრძნობდენ თავს თანასწორ უფლებიან ერთეულებად.

59. ვდგევართ რა ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე, ჩვენ ვიცით, რომ თითეული ერი, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს საერთო ინტერნაციონალურ ოჯახში შევა და შეიქნება ამ ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი იმ შემთხვევაში თუ ის განავითარებს ეროვნულ კულტურას. ეროვნული კულტურის განვითარება კი შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ერი განთავისუფლდება ნაციონალური ჩაგვრისაგან და მას მიეცემა დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობის უფლება.

60. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობა უნდა მოეწყოს რუსეთის პროლეტარიატთან ძმური თანამშრომლობის საფუძველზე. უნდა დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, რომლებიც განამტკიცებენ ნდობას რუსეთის პროლეტარიატისადმი, რომელმაც მოსპო ეროვნული ჩაგვრა და გამოაცხადა ერების თანასწორ-უფლებიანობა.

61. რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის დადგენილებები ნაციონალურ საკითხზე არ უნდა დარჩენ ქაღალდზე, არამედ სასწრაფო წესით უნდა იქნენ გატარებული ცხოვრებაში.

62. რუსეთის წითელი არმიის ყოფნა საქართველოს ტარიტორიაზე უნდა ჩაითვალოს დროებით მოვლენად. მან უნდა დასტოვოს საქართველოს საზღვრები როგორც კი მუშები და გლეხები განამტკიცებენ თავის ხელისუფლებას. ეს მომენტი უკვე ახლოა. და რამდენათაც ის იცავს პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართ და არ ისახავს დაპყრობითი მიზნებს, ის არ შეიძლება ჩაითვალოს საოკუპაციო არმიად.

წითელ ჯარში

ბრძანება.

კავკასიის ცალკე არმიის ჯარებისადმი.

№ 600, 18 ივლისი 1923 წ.

კავკასიის ცალკე არმიის შტაბის უფროსი და ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა სახ. კომისარის თანაშემწე სიმონ ანდრიას ძე პუგაჩევი რესპუბლიკის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს მიერ დანიშნულია ერთ-ერთ ფრიად პასუხსაგებ თანამდებობაზე წითელ არმიაში თურქესტანის ფრონტის სარდლის ადგილზე.

კავკასიის ცალკე არმიის მებრძოლები იცნობენ შტაბის უფროსს ორი წლის განმავლობაში, ხოლო წითელი არმია მისი დაარსების დღიდან, როგორც ერთ-ერთ ორგანიზატორთაგანს, რომელმაც შეასრულა მძიმე, პასუხსაგები და ძნელი სამუშაო კერძოთ არმიის შემცირების, მისი რეორგანიზაციის სამხედრო და სასწავლო მომზადების ახალ პრინციპების შემოღების და აგრეთვე ბანდიტიზმთან საბრძოლველი გეგმის შემუშავების და ცხოვრებაში გატარების საქმეში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელები თავის საუკეთესო წარმომადგენლების სახით, რომელნიც შევიდენ ამიერ-კავკასიის ნაციონალურ დივიზიების რიგებში, იცნობენ ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარის თანაშემწეს მისი მუშაობით, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ფედერაციის ერთ-ერთ განაპირა კუთხეში ნაციონალურ ჯარების ძმური ოჯახის—სამხედრო ძლიერების ერთიანი წითელი არმიის შექმნისაკენ.

იშვიათი შრომის მოყვარეობა, მდიდარი გამოცდილება და ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა, ტაქტი, ყურადღება სამხედრო ნაწილების საჭიროებისა და ცალკე სამხედრო მუშაკთადმი, ამხანაგური დამოკიდებულების სიმარტივე—აი ის თვისებები, რომელმაც ღრმა პატივისცემა და სიყვარული მოუპოვა სიმონ ანდრიას ძე პუგაჩევს.

ამხ. ს. ა. პუგაჩევის, როგორც ქ. ტფილისის აღმასკომის წევრის, როგორც სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრის საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო დაახლოვა ის მშრომელთა მასებთან, რაც გამოიხატა მისი შრომების ხასიათში წითელი არმიის და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ.

კავკასიის ცალკე არმიის მებრძოლებო, ჩვენ მწუხარებით ვეთხოვებით დღეს ჩვენ საყვარელ მებრძოლ ამხანაგს, მაგრამ ამავე დროს ვამაყობთ, რომ ჩვენი წრიდან გამოვიდა დიდი რევოლიუციის ერთ-ერთი მებრძოლთაგანი, რომლის წინაშე დასმულია კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები ჩვენ მეზობელ საბჭოთა თურქესტანში.

ვუსურვოთ ჩვენ ამხანაგს ს. ა. პუგაჩევს ჯანმრთელობა და წარმატება მის მომავალ მრავალფეროვან და პასუხსაგებ მუშაობაში.

არმიის სარდალი—**ეგოროვი.**

რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს წევრები: **ორჯონიკიძე, ელიავა, კარაევი, მიასნიკოვი.**

პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი - **ვრაჩევი.**

შტაბის დროებითი უფროსი—**კუზნეცოვი.**

ქრონიკა

— **საქონლის მანეთის ახალი კურსი.** ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან. აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წლ. 22 ივლისისათვის. ა|კ. სახალხო კომისართა საბჭოსა ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52 საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება ათი (10) მან. ფასობის კვალობაზე, ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ა. წ. 22 ივლისისათვის განისაზღვროს 28.547.000 მან. ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 2.854.700 მ. ა|კ. ფულის ნიშნებში. ს. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარი **ლ. დუმბაძე.**

ს. მ. უ. საბჭოში.

— **მასალები ჩათახის ქარხნისათვის.** ივლისის დამლევს ბათომში მოელიან ჩათახის ქარხნისათვის გერმანიაში შეძენილ მასალების დიდ რაოდენობას.

— **სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის გადახალისება.** უმაღლეს მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით: სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი გამოცხადებულია დაშლილათ, მის მაგიერ არსდება სააღმშენებლო ტეხნიკური კომიტეტი.

— **ვაჭრობა-მრეწველობის ბანკი.** ამავე საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დაარსოს ვაჭრობა-მრეწველობის ბანკი და ამით გაადვილოს სესხის მიცემის საქმე.

განათლების კომისარიატში

— **ბავშვთა დაწესებულებები.** 1923 წ. პირველ ნახევარში ტფილისში არსებობდა ბავშვთა დაწესებულებები სულ 111, რომლებიც აღმშენებლობითი ხასიათისანი იყვნენ. მათ შორის 82 იყო შრომის სკოლა, ბავშვთა სახლი—10, და საბავშვო ბაღები—19.

— **სპეციალური ტეხნიკუმები.** განათ. კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დაავალა პროფგანათლების მმართველობას წარმოადგინოს რესპუბლიკაში არსებულ სპეციალურ ტეხნიკუმების სია, ტეხნიკუმების ქსელის დამტკიცების მიზნით.

— **დახმარება სასწავლებლებს.** სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობამ ივნისის განმავლობაში გაანაწილა 20 მილიარდი და 620 მილიონი. შრომის სკოლების, მცირე წლოვანთა უფლების დაცვის და სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებებს შორის.

ქალაქის აღმასკომში

— **კოჯორის აგარაკის ექსპლოატაცია.** კოჯორის აგარაკის ექსპლოატაციისათვის გამოყოფილია 63 აგარაკი 388 ოთახით. აღნიშნული აგარაკები მიმდინარე სეზონში შემოიტანენ შემოსავალს დაახლოვებით 7,403 მ. და 20 კ. ოქროთი.

— **ქ. აღმასკომის ფინანსიური შემოსავალი.** ქალ. აღმასკომის სალაროში 1923 წ. პირველ ნახევარში შემოსულია 475.664 მან. და 38 კ. ოქროთი.

— **ქართულ ენის კურსები.** ქალ. აღმასკომის საბინაო განყოფილების ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ქალ. აღმასკომის მუშაკთათვის ვინც ქართული ენა არ იცის დაარსებულ იქნას ქართულ ენის კურსები.

ხელოვნება

ქართული მუსიკის სიმფონიური საღამო.

აკადემიურმა სიმფონიურმა ორკესტრმა კომპოზიტორ არაყიშვილის მეთაურობით გამართა კონცერტი, რომელიც მიძღვნილი იყო ქართული მუსიკისათვის. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კონცერტზე შესრულებული იყო რაღაც განსაკუთრებული ქართული მუსიკა, რომელიც თავისი განსაკუთრებული გზით მიდის—მუსიკა, რომელიც ანგარიშს არ უწევს საუკუნოებით დამყარებულ მუსიკის კოდექსს და დიდებულ მუსიკოსების შემოქმედებას (ბახი, ბეტხოვენი, გენდელი, გლუკი-იტალიის კლასიკები).

დიდი ხანი არ არის, რაც საზოგადოებაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ქართული მუსიკა, რომელშიაც სჭარბობს განსაკუთრებით ეროვნული კოლორიტი, მომწყვდეულია ხალხური მელოდიების ვიწრო ჩარჩოში. ეს აზრი შეუფერებელი იყო საერთაშორისო მუსიკის ქართული დარგისათვის (სხვანაირათ არ შეიძლება ეწოდოს ქართული კომპოზიტორების შემოქმედებას). ეხლა სულ სხვანაირი მდგომარეობაა; პარალელურად საერთაშორისო მუსიკის ევოლიუციასთან-განვითარდა ქართული მუსიკაც და ის აზრი თითქმის მთელი ქართული მუსიკა დამყარებული იყოს ხალხურ მელოდიებზე—უკუგდებულია.

რასაკვირველია ქართული კომპოზიტორები თავის შემოქმედებისათვის დროგამოშვებით ხალხურ მელოდიებს მიმართავენ, მაგრამ ეს მარტო ქართველ კომპოზიტორებს არ ახასიათებს; მუსიკალური თემების ხალხური მელოდიების სიღრმიდან სესხებას ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო რუსეთის კომპოზიტორებს (გლინკა, ჩაიკოვსკი), არამედ საფრანგეთის გენიალურ კომპოზიტორებსაც, ისეთ რევოლიუციონერებსაც კი მუსიკაში, როგორიც იყო ვაგნერი (თავისუფალი მარში ლოენგრინში).

ქართველი კომპოზიტორებიც, როგორც მათი ევროპიელი ამხანაგებიც, ძალიან ხშირათ ამუშავებენ ხალხურ მელოდიებს და აძლევენ მათ ჰარმონიზაციის ბრწყინვალე გარეგნობას ინსტრუმენტოვოლისა და ორკესტროვოლის სახით; მეტათ სასიხარულოა, რომ ჩვენი ორი გამოჩენილი კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი და ზაქ. ფალიაშვილი ინტერნაციონალური მუსიკის გზით წავიდენ. ასე მაგალითად ეს სჩანდა საანგარიშო კონცერტის პროგრამიდან, რომელიც არაყიშვილის ნაწარმოებებიდან შესდგებოდა ეს სჩანს (და განსაკუთრებით რელიეფურათ) ზაქარია ფალიაშვილის ახალ ნაწარმოებში (სოფლის დღესასწაული). დ. არაყიშვილმა და ზ. ფალიაშვილმა აირჩიეს სწორი გზა, რადგან მუსიკა ინტერნაციონალურია.

საანგარიშო კონცერტის პროგრამის ცალცალკე ნომრებიდან უნდა აღინიშნოს ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“-ს მშვენიერი შესავალი, რომელიც სავსეა განწყობილებით და ბალეტის ნომრები (ლეკური) ამ ოპერიდან.

ლეკურს საუცხოვო ინსტრუმენტოვკა ახასიათებს. კარგია ცალცალკე ეროვნული ცეკვის ნომრებიც. ყველგან სჩანს ნამდვილი შემოქმედება და ინსტრუმენტოვკასთან და ორკესტროვკასთან დეტალური გაცნობა.

ნაკლებათ მოგვეწონა ჩვენ „ორმუზდის ჰიმნი“. აქ არ არის ჰიმნის მუსიკის შემოქმედებითი განწყობილება—მკრთალია მელოდიაც, მშვენიერია დამახასიათებელი ევროპიული ცეკვის ნომრები, განსაკუთრებით „ესმერალდა და ინესი“. ამ ნაწარმოებებში წითელ ძაფათ არის გატარებული ეროვნული მელოდიები და მუსიკალური თემების აღნაგობა.

არაყიშვილის რომანსები პოეტური, მელოდიური და ჰარმონიულია. განსაკუთრებით ლამაზია რომანსი „ყვავილებისა და ღვინის სამეფოში“.

ვოკალური ნომრები შეასრულეს სახელმწიფო ოპერის მომღერლებმა ექსანიშვილმა და ვენაძემ. მსახიობი ექსანიშვილი უეჭველათ მუსიკალურია, მას ლამაზი ლირიული სოპრანო აქვს და ასრულებს რომანსებს განწყობილებით. სამწუხაროთ იგივე არ ითქმის მომღერალ ვენაძეზე. ახალგაზრდა მომღერალმა პირველ ყოვლისა თავი უნდა დაანებოს ხმის ფარსიროვკას და შემდეგ სერიოზული ყურადღება მიაქციოს ხმის დაყენებას. ვენაძე მუსიკალური მომღერალია.

მუსიკოსი.

გ. ქუჩიშვილის ლექსთა კრებული. დაიბეჭდა და გამოვიდა გ. ქუჩიშვილის ლექსთა კრებული სახელგამის გამოცემა.

ი. ნიკოლაძის ქანდაკება. მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ დაამთავრა ახალი ქანდაკება „ვნება“.

ჟურნალი „ჯეჯილი“. გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ს № 3—4—5.

დები თარხნიშვილის კონცერტი. ამ მოკლე ხანში პროფკავშირთა კლუბში გაიმართება დები თარხნიშვილის კონცერტი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობები).

სამხრეთ-ოსეთი. როგორც უკანასკნელი ცნობა გადმოგვცემს, ივლისის 4 ს ოქონის რაიონის 5 სოფელს ძლიერი სეტყვა ეწვია, შემდეგ მოჰყვა გრიგალი და ბოლოს წყალდიდობა. გაფუჭებულია ნათესების 50 პროცენტი.

სახნავის მიხედვით სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობა 6 ჯგუფად არის დაყოფილი, პირველი ჯგუფი (რიცხვი გამოურკვეველია) სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან, მე-2 ჯგუფში მოქცეულია 4.302 გადამხდელი მე-3—1.728. მე-4—667, მე-5 —347 და მე-6—213 საქონლის რიცხვის მიხედვით გაყოფილია 5 ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოქცეულია 3,953 გადამხდელი, მე 2—2.040, მე-3 —1198, მე-4 —269 და მ 5—55.

საგადასახადო კომისიამ ივლისის 9-ს სხდომაზე მთელი სამხრეთ ოსეთი მოსავლიანობის მიხედვით 3 რაიონად გაჰყო. პირველ რაიონში შედიან: როკისა, ბელოთისა, მონასტერისა, ჯავისა, კუდარისა, ლეხურისა და ქემულთის რაიონები, რომელთა მოსავლიანობა დესეტინაზე უნდა განისაზღვროს 25—30 ფუთი მარცვლეულით, მეორეში შედიან, წუნარისა, ყორნისისა, ორთევისა და ანდორეთის რაიონები მოსავლიანობით 30—35 ფ. დესეტინაზე. მესამეში—ცხინვალის, ოქონისა და ახალგორის რაიონი მოსავლიანობით 35—40 დესეტინაზე.

ბორჩალოს მაზრა. სახნავის მიხედვით მოსახლეობა 6 ჯგუფად არის დაყოფილი. პირველ ჯგუფში შედის 1.203 გადამხდელი, მეორეში—2.876, მესამეში—2.875, მეოთხეში—2.662, მეხუთეში—3.004 და მეექვსეში—2.371. საქონლის რიცხვის მიხედვით პირველ ჯგუფში მოქცეულია 3.659 გადამხდელი, მეორეში—2.472, მესამეში—2.254, მეოთხეში—923 და მეხუთეში—359.

ახალქალაქის მაზრა. საქონლის რიცხვის მიხედვით მაზრის მოსახლეობა დაყოფილია ხუთ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის 2.980 გადამხდელი, მეორეში—2.094, მესამეში—1.551, მეოთხეში—423 და მეხუთეში—57.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სახნავის, ისე საქონლის რიცხვის მიხედვით და საერთოდ შემძლეობით ყველაზე ძლიერნი მაზრაში დუხობორთა სოფლებია, ამიტომ ისინი უმთავრესად მოქცეულნი არიან მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ჯგუფში.

წელს აღნიშნულ იქმნა 17.314 დესეტინა სათიბი და არა 1.714 დესეტინა, როგორც ეს შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი.

სიღნაღის მაზრა. სახნავის მიხედვით მოსახლეობა 6 ჯგუფად არის დაყოფილი. პირველ ჯგუფში შედის 3,946 გადამხდელი, მეორეში—8.126, მესამეში—5.198, მეოთხეში—2,932, მეხუთეში—2.294 და მეექვსეში—914. საქონლის რიცხვის მიხედვით პირველ ჯგუფში მოქცეულია 5.024 გადამხდელი, მეორეში—3.008, მესამეში—2.426, მეოთხეში—990 და მეხუთეში—597.

თელავის მაზრა. სახნავის მიხედვით პირველ ჯგუფში შედის 1,783 გადამხდელი, მეორეში—4.493, მესამეში—3.799, მეოთხეში — 2.637 მეხუთეში—2.307 და მეექვსეში—809. საქონლის რიცხვის მიხედვით პირველ ჯგუფში შედის 1.125 გადამხდელი, მეორეში—1850, მესამეში—1.665, მეოთხეში—605 და მეხუთეში—294.

თიანეთის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომიტეტის ცნობით წელს მაზრის მთაგორიან ადგილებში დესეტინაზე 20 ფუთს მარცვლეულს უნდა მოველოდეთ.

გორის მაზრა. სიების შემოწმება და შესწორება დასრულებულია, თავდება აგრეთვე მოსახლეობის ჯგუფად დაყოფა სახნავისა და საქონლის რიცხვის მიხედვით.

მთელს მაზრაში აღმოჩნდა: მეურნეობა— 33.688, სახნავი — 119277 დესეტინა, სათიბი—12.588 (სახნავზე გადატანით 6.294 დესეტ.), ხილის ბაღი — 1.452 (გადატანით 2.178 დეს.), ვენახი—2-532 (გადატანით 5.064 დეს.), სულ სახნავზე გადატანით 132.815 დესეტინა. საქონელი აღმოჩნდა: მსხვილ ფეხა—61.434 სული, ცხვარი, — თხა—34.915 (მსხვილ ფეხა საქონელზე გადატანით 5.823 ერთი მეექ.) ღორი 4.820 (გადატანით 1,205,) სულ მსხვილ ფეხა საკლავ საქონელზე გადატანით 68.422 ერთი მეექ. სული.

—

ცირკულიარული განკარგულება.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატმა საქართველოს; აზერბეიჯანის და სომხეთის სახალხო სასურსათო კომისარიატებს შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა:

„დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვა, როგორც ადგილებიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რესპუბლიკის ყველა მაზრაში უკვე დამთავრებულია. სახნავზე და მსხვილფეხა საქონელზე გადატანა დასრულებულია.

ამიტომ გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ:

1) უკანასკნელ სიებით აღნუსხულ დასაბეგვრ მიწების სივრცე სახნავზე გადატანით თვითეულ მაზრაში ცალკე, 2) თვითეულ მაზრაში აღნუსხულ საქონლის რიცხვი მსხვილფეხა საკლავ საქონელზე გადატანით და 3) თვითეულ მაზრაში ასაკრებად განზრახული გადასახადის რაოდენობა ხორბლეულის ერთეულით (იმ მაზრებში, რომელიც დაყოფილია გადასახადის გადახდის ფულათ და ნატურალურ ფორმის რაიონებად, გადასახადის რაოდენობა უჩვენეთ ფულადს რაიონებში ცალკე და ნატურალურს რაიონებში ცალკე“).

შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეთ.

საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატმა ცირკულიარული წინადადება მისცა სამაზრო სასურსათო კომისიებს, რათა მხედველობაში მიიღონ და მტკიცედ შეასრულონ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრების დროს შეღავათი უნდა მიეცეს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეთ.

გადასახადის შერეული ფორმა არ არსებობს.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატმა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად ცირკულიარი დაუგზავნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო კომისარიატებს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ, რომელშიაც კვლავ განმარტავს, რომ მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის დეკრეტის პირდაპირ აზრის თანახმად, დაწესებულია მხოლოდ ორის სახის რაიონი—ფულადი და ნატურალური; შერეული ან სხვა მესამე სახის რაიონი არ არსებობს.

მომავალში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ადგილებში, ცირკულიარული ავალებს, აცნობონ ყველა სასურსათო და საფინანსო მუშაკებს, ადგილობრივ აღმასკომებს, აგრეთვე მოსახლეობას, რომ ფულადს რაიონებში გადასახადი შეტანილ უნდა იქნას განსაკუთრებით ფულად.

ფულად რაიონებში კი გადამხდელთ შეუძლიანთ გადასახადი თავის სურვილისამებრ ფულადაც შეიტანონ; ამასთანავე მთელი გადასახადის, ან მისი ნაწილის ნატურის ნაცვლად ფულად შეტანისთვის არავითარი საგანგებო ნებართვა არ არის საჭირო და გადამხდელის უფლება ნატურის ნაცვლად ფულის მიცემისა არ შეიძლება შეზღუდულ იქნეს იმ გარემოებით, რომ ამავ ფორმით მოინდომოს გადასახადის შეტანა მთელმა უბანმა, ან სოფელმა.

ყოველი შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების დროს გათვალისწინებულია ა|კავკასიის ცენტრ. აღმასკომის და ა|კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის (აპრილის 23-ს თარიღით) მე-9 და 10 მუხლით და არავითარი სხვა შეღავათების დაწესება არ შეუძლიანთ რესპუბლიკანურ ხელისუფლებებს გარდა ა|კ. ცენტრ. აღმასკომისა და ა|კ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ჯავახეთი

ჯავახეთი, ანუ ეხლანდელი ახალქალაქის, მაზრა საქართველოს უძველესი პროვინციაა. გასული საუკუნის ოციან წლებამდე აქ წმინდა ქართული მოსახლეობა იყო, სახელდობრ გამაჰმადიანებული ქართველები და მცირე ნაწილი ქრისტიან ქართველებისა. 1829 წელს რუსეთ-ოსმალეთის შორის აჩეხილ ომის დროს ჯავახეთი რუსეთმა დაიკავა. მეფის რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის შემავიწროებელმა რეჟიმმა აიძულა აქაური ქართველი მაჰმადიანობა გადასახლებულიყო ოსმალეთში. მთელი მხარე თითქმის დაიცალა. ცნობილ გენერალ პასკევიჩის ინიციატივით ქართველ მაჰმადიანების მიერ მიტოვებულ მიწა-წყალზე გადმოსახლებულ იქნა ომის დროს არზრუმის რაიონიდან ლტოლვილი სომხობა. ამ რიგად ჯავახეთს ქართული ელფერი დაეკარგა.

ამ ჟამად ჯავახეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (75 პროც.) სომხები შეადგენენ, ქართველების რიცხვი ქართველ მაჰმადიანებთან ერთად 17 პროც. არ აღემატება, დანარჩენი 8 პროც. მოდის რუსებზე, ბერძნებზე და გერმანელებზე.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ჯავახეთი წარმოადგენს ზეგანს, რომლის სიმაღლე ზოგ ადგილას 7.000 ფუტს აღემატება, ხოლო საშუალოდ მთელი მხარე მდებარეობს 5 600 ფუტის სიმაღლეზე. ამის გამო ჰავა აქ მკაცრია, თოვლი სძევს წელიწადში შვიდი თვის განმავლობაში. რისთვისაც აქ არ ხარობს არც ვაზი და არც არავითარი ხეხილი. ჰავის სიმკაცრისა თუ სხვა მიზეზების გამო, აქ სრულებით არ მოიპოვება ტყე. სამაგიეროდ აქაური ველები და მთის კალთები დაფარულია ნოყიერი ბალახით და მშვენიერ იალაღებს, ე. ი. საძოვარ ადგილებს, წარმოადგენენ.

ზაფხულში კარგი ამინდის დროს საუცხოვო სილამაზე იშლება თქვენს წინ, როდესაც ცხრა წყაროს გადასავლიდან (ბაკურიანის მხარეზეა) ჯავახეთს გადახედავთ: მთელი მხარე ამწვანებულ მდელოს წარმოადგენს, ნაირ-ნაირი ყვავილებით აჭრელებულს; აქა-იქ მუქის ფერ ხალიჩებივით მოსჩანს ანეულები, ზევიდან ამ სანახაობას ლურჯათ მოკამკამე ცის თაღი დაჰყურებს.

საძოვარ ადგილების სიუხვის გამო, აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეების უდიდესი ნაწილი ზაფხულობით აქეთკენ მოერეკება ცხვარს. დაახლოვებით ექვსასი ათას სულამდე ცხვარი იკვებება აქაურ იალაღებზე. ამის გამო ჯავახეთს საქართველოსთვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა: უჯავახეთოდ ვერ იხეირებდა სანახევროდ მაინც ისეთი მნიშვნელოვანი დარგი საქართველოს სასოფლო მეურნეობისა, როგორიცაა მეცხვარეობა.

არა მარტო თავისი უხვი საძოვრებითაა მნიშვნელოვანი ჯავახეთი. აქაური ნიადაგი ფრიად ნოყიერია, რის გამო საქართველოს არც ერთ კუთხეში არ იცის ისეთი მოსავალი როგორიც აქ. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მაზრას შეუძლია გამოკვებოს პურით თითქმის ნახევარი საქართველო. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მოსავლიან მაზრას თვით სჭირდება ამ ჟამად პური.

ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ოსმალეთის შემოსევა, რომელიც მოხდა 1918 წელში. ოსმალეთის შიშით ზარდაცემული მოსახლეობა აიყარა, მიატოვა მთელი თავისი ავლა-დიდება, სახლკარი და გაიხიზნა საქართველოს სხვა მაზრებში. მხოლოდ რვა თვის შემდეგ, როდესაც ჯავახეთი კვლავ მოექცა საქართველოს ფარგლებში, შესაძლებელი გახდა მცხოვრებლების უკან დაბრუნება. ამ გაქცევის დროს მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა; ქონებრივი ზარალი ხომ აუარებელი იყო: დაიღუპა მთელი შინაური საქონელი, დაახლოვებით სამასი ათასი სული; მთელი სასოფლო სამეურნეო ინვენტარი და გაძვალტყავებული გლეხობა დაუბრუნდა თავის გაძარცულ კერას. ამას ზედ დაუმატეთ ის, რომ ჯავახეთის დედა-ქალაქი ახალქალაქი ოსმალებმა ნანგრევებათ აქციეს.

ამ რიგათ ოდესღაც მდიდარი მაზრა იმდენათ დაქვეითდა ეკონომიურად, რომ საჭიროა ათეული წლები, რათა აღდგენილ იქნეს მისი პირვანდელი ეკონომიური მდგომარეობა.

სიღატაკე, რომელიც სუფევს ამ ჟამად მაზრაში, აუწერელია. მას განიცდიან განსაკუთრებით სომხები და ქართველები, რომელნიც ოსმალთა შემოსევის დროს გაიქცენ აქედან. ცოცხალი ინვენტარისა და აგრეთვე სათესლე მასალის უქონლობის გამო, აქაურმა გლეხობამ ვერ შესძლო საკმაო მიწის მოხვნა—დათესვა, რის გამო ჯავახეთში, საქართველოს ამ საუკეთესო ბეღელში, სიმშილობამ უკანასკნელ წლებში ქრონიკული ხასიათი მიიღო; წელსაც დამშეულია ათი ათას სულამდე.

სიღატაკეს ზედ ერთვის უკულტურობა. ამ მხრივ ჯავახეთი ყველაზე ჩამორჩენილი კუთხეა ჩვენში. ამ ჩამორჩენილობას უნდა მიეწეროს ის, რომ აქაური გლეხები, როგორც თხუნელები, სცხოვრობენ მიწურ სახლებში, სადაც ვერ აღწევს ვერც მზის სხივი და ვერც სუფთა ჰაერი. გამოუცდელი თვალი ვერც კი შენიშნავს ჯავახეთის სოფელს, თუ კი ძალიან არ დააკვირდა. აღსანიშნავია ერთი რამ: ადამიანები და შინაური პირუტყვები აქ ერთად სცხოვრობენ, რის გამო სული გეხუთება კაცს, როდესაც ჯავახელის სახლში შედიხარ. ამ სიბინძურით აიხსნება ის, რომ თითქმის ასი პროცენტი გლეხობისა აქ ბღერით არის ავად. გარდა ბღერისა გავრცელებულია აქ სიფილისი. მაზრის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, მცხოვრებთა 25 პროც. დაავადმყოფებულია ამ საშინელი სენით. თუ დროზე არ მიექცა ყურადღება ამ გარემოებას და დამკვრელი ზომები არ იქნა მის წინააღმდეგ მიღებული, ჯავახეთის მოსახლეობას პირდაპირ ფიზიკური გადაშენება მოელის.

აქაური მოსახლეობის ჩამორჩენილობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ თითქმის მთელი შემადგენლობა საბჭოთა და პარტიული მუშაკებისა როგორც ცენტრში, ისე თემებში მოსულ ელემენტებისაგან შესდგება, რადგანაც ადგილობრივად არ მოიპოვება ინტელიგენტური ძალები. ამიტომ საჭიროა კულტურული მუშაობის გაღვივება-გაძლიერება, რომ შესაძლებელი გახდეს ადგილობრივი ძალების მომზადება და მათი ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში. უნდა ითქვას, რომ კულტურული მუშაობა და საერთოდ განათლების საქმე მაზრაში ვერ არის სათანადოთ დაყენებული. თუმცა სკოლების რიცხვი ამ ჟამად აქ საკმაოა (37 პირველ დაწყებითი და 2 მთლიანი შრომის სკოლა), მაგრამ მათი უმრავლესობა მხოლოდ ნომინალურად არსებობს, რადგანაც არ მოიპოვება მომზადებული კადრი მასწავლებლებისა.

ადგილობრივი განათლების განყოფილება ებრძვის შეძლებისდაგვარად ამ გარემოებას, მაგრამ ის უმწეოა; მომზადებულ მასწავლებელთა კადრის შოვნა ძნელია, რადგან ცენტრიდან, სიშორისა და მოწყვეტილობისა გამო, არავინ არ მოდის აქ, ხოლო ადგილობრივათ, როგორც აღვნიშნეთ ინტელიგენტური ძალები თითქმის არ მოიპოვება.

ორიოდე სიტყვა აქაურ გზებზე. საერთოდ ჯავახეთი ცენტრთან მიმოსვლის მხრივ არასოდეს არ ყოფილა კარგს მდგომარეობაში რკინის გზის უქონლობის გამო, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარმა წყალდიდობამ ის სავსებით მოსწყვიტა ცენტრს. დიდათ დაზიანებულია ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი, ეს უმთავრესი ძარღვი, რომელიც ჯავახეთს აერთებს დანარჩენ საქართველოსთან. ამ ჟამად ამ გზით მიმოსვლა შეწყვეტილია.

როგორც ხედავთ ჯავახეთი წარმოადგენს ეკონომიურად დანგრეულს და განადგურებულს მხარეს. ამ მხრივ მას იმპერიალისტურმა ომმა მძიმე დაღი დაასვა. კულტურულათ ეს მხარე ჩამორჩენილია და მისი მოსახლეობა სრულებით უვიცია. სიღატაკე, სიბნელე და სრული უვიცობა—აი როგორ შეიძლება თანამედროვე ჯავახეთის დახასიათება. ადგილობრივი აღმასკომი და პარტიული ორგანოები მთელს თავიანთ ძალებს ახმარებენ იმას, რომ საქართველოს ეს ჩამორჩენილი კუთხე წელში გაიმართოს და აღორძინდეს როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან აღნიშნულ მუშაობის საწარმოებლად საჭიროა დიდძალი თანხები, ხოლო ჯავახეთი იმდენად გაღატაკებულია, რომ ადგილობრივი საშუალებებით და თანხებით მისი აღდგენა ყოვლად შეუძლე-

მუშათა ცხოვრება

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ასოთ-ჩამომსხმელი ქარხანა

ეს ქარხანა წინეთ კერძო პირს, მადერს ეკუთვნოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან კი გადავიდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში. ეს ქარხანა სდგას თავის სრულ სიმაღლეზე.

აქ მუშაობს რვა ოსტატი, ერთი „შლიფოვშჩიკი“ და რამდენიმე შეგირდი. აქ არის რვა სხვადასხვანაირი ამომსხმელი მანქანა; მათ შორის 4 გამუდმებით მუშაობს, დანარჩენი ოთხი კი საჭიროების დაგვარად. ქარხანას ჰყავს გამგე, მუშაობის და მანქანების ზედამხედველად, მათე ვერმიშენკო. ეს უკანასკნელი სულის-ჩამდგმელია ამ ქარხნისა; 30 წელიწადია აქ მუშაობს და ასოების ჩამომსხმელ ყველა მანქანების შეუდარებელ „სპეცად“ ითვლება. თავის ენერგიით და შრომით სწორეთ წითელ დაფაზეა მისი სახელი აღსანიშნავი; თვით ქარხანაში მზადდება ყველა ენის ასოები. ამას წინედ ამ ქარხნიდან გაიგზავნა 40 ფუთი—„სპარსული ასოები“ სპარსეთში, ამ უკანასკნელ დროს გაიგზავნა 35 ფუთი თათრული ასოები მოსკოვში. აი ასეთ მსხვილ შენაკვეთებს ასრულებს ეს ქარხანა რუსეთის და ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებისთვის. მუშაობა ქარხანაში სწარმოებს დილის 7 საათიდან დღის საათ ნახევრამდე, აქაური მუშაობის დღედ ითვლება 6 საათი, რადგან ქარხანაში მუშაობა მეტად ძნელია და გამდნარი ტყვიის სუნი გამანადგურებლად მოქმედებს ორგანიზმზე; სამაგიეროთ აქ მუშა კარგ ჯამაგირს იღებს—20-დან 40 საქონლის მანეთამდე თვეში; მუშებს ეძლევათ აგრეთვე ყოველ დილას რძე, ეძლევათ მათ საპონი, სპეცტანისამოსი და აგრეთვე ქარხნის ხარჯზე ხდება მათი ტანისამოსის რეცხვაც. მუშებს ჰყავთ თავისი ადგილკომი, რომელიც მტკიცედ იცავს მათ ინტერესებს. მუშები იღებენ ყოველ დღე გაზეთებს. საერთოდ ამ ქარხნის წარმოება და მუშების ნივთიერი და გონებრივი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

10 ფაბკომის კლუბის შესახებ

(**პროფკავშირების საყურადღებოდ**)

ძალიან გულით უნდათ ამ რაიონის მუშებს საკუთარი კლუბის გახსნა. მათ საამისო შეძლებაც აქვთ.

კლუბისათვის საჭირო ძალებიც მოეპოვებათ.

ბევრჯერ აღძრეს შუამდგომლობა სათანადო კავშირის წინაშე, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღეს.

ძალიან სწყენთ მუშებს, რომ კავშირი უშლის ასეთ კეთილ განზრახვას ადგილობრივ მუშებს.

ჩვენ სხვის კლუბში ვმართავთ საღამო-წარმოდგენებს, ხალხი კმაყოფილი რჩება; ჩვენს კლუბში საქმეს ხომ უფრო ხალისით მოვეკიდებით, უფრო ხშირად შევიკრიბებით აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის; ბიბლიოთეკა-სამკითხველოსაც ადგილობრივ ვიქონიებთ და სხვა. გვიკვირს, კავშირი რად გვიშლის ხელს, რად გვეწინააღმდეგება ამაში?!

ჩვენ მუშებს იმედი მაინც დაკარგული არა აქვთ,—ყველას ჰგონია, კავშირი ერთ მშვენიერ დღეს გულს მოიბრუნებს და რაიონში მუშებს საკუთარი კლუბი ექნებათ.

ჩვენ გვგონია, თუ კი ეს მოსახერხებელია, კავშირი დასტურს მისცემს მუშათა კეთილ განზრახვას.

მუშკორი კაიო.

რკინის-გზის მუშათა ცხოვრებიდან

რკინის-გზის მთავარ საწყობთან არსებობს სახელოსნოები; სადურგლო, სათუნუქე, საქსოვი და სხვა. ქარხნები მოთავსებულია მუშების ჯანმრთელობისათვის შესაფერ ადგილზე და ყოველმხრივ დაცულია სისუფთავე. ქარხნები ყოველდღე სუფთავდება. აგრეთვე საკმაოდ არის გადადუღებული წყალიც როგორც ცხელი საუზმის დროს ჩაისთვის, ისევე გაციებული სასმელად.

მაგრამ აქ ერთ არასასურველ მოვლენას აქვს ადგილი; წყალს სვამენ ყველანი ერთი ფინჯნით, რომელიც წყალთან დგას და შეიძლება მას ცუდი შედეგები მოჰყვეს, რადგან ზოგიერთი შეუგნებელი ამხანაგი არ ფიქრობს იმაზე, რომ ფინჯნით სხვასაც დაულევია წყალი და დალევის დროს უნდა ირეცხებოდეს. მათთვის კი ეს წესი არ არსებობს, რაიც სამწუხაროა. მაგრამ უფრო უარესია ის მოვლენა, რომ ჩამორჩენილი მუშები შეგნებულ ამხანაგებსაც უშლიან ხელს სისუფთავის დაცვას. ერთ ამხანაგს, რომელმაც ფინჯანი გარეცხა, წყლის მომზადებელმა შენიშვნა მისცა წყლის დამზადებაზე შრომა იხარჯება და შენ ღვრიო. ამხანაგი შეეცადა დაერწმუნებინა იგი, რომ უაზრო ეკონომიას უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლიან მშრომელთათვის. მაგრამ ვერაფერს გახდა და თავი დაანება. ამგვარ ხალხს სიტყვის გაგონებაც არ სურთ და სასაცილოთ მიაჩნიათ იმის თქმა, რომ არსებობენ თვალით შეუმჩნეველი ადამიანის მტერი. არსებანი უსუფთავო ადგილებში და თვით დაავადმყოფებულ ადამიანის ორგანიზმშიც, რომელნიც გაუფთხილებლობის გამო შეიძლება გადავიდნენ ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში და მოსწამლონ. საჭიროა კულტკომისიამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მოაწყოს ლექციები ჰიგიენაზე. მართალია ასეთი მუშები ახლა ბევრი აღარ არიან, მაგრამ მუშათა ბატონობის დროს უვიცები სულ აღარ უნდა იყვნენ.

მუშა ვ. ზ—შვილი.

მეთუთუნეთა შორის

თითქმის ყველა თუთუნის ქარხნებში მუშაობენ ისეთი მუშები, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქის განაპირა უბნებში. მათ უხდებათ ფეხით სიარული ძალიან შორს მანძილიდან სამსახურში; ეს მეტად სამძიმოა, განსაკუთრებით დილაობით, როდესაც ისინი ჰკარგავენ საათზედ მეტ დროს ამ შორ-მანძილის გავლაში—და დაღლილ დაქანცულებისათვის მეტად სამძიმოა მუშაობა. ყოველივე ეს ცუდად მოქმედობს მუშებზედ და ამას დიდი ზარალიც მოაქვს წარმოებისათვის.—დილაობით ყოველთვის მოდის ტრამვაი ქალაქის ტრამვაის მუშებით. შესაძლებელია ქარხნების ადმინისტრაცია შეუთანხმდეს ტრამვაის დირექციას, რომ ამ უკანასკნელმა ნება დართოს რამოდენიმე კაცმა, თუთუნის ქარხნის მუშებმა მათ მუშებთან ერთად ისარგებლონ ტრამვაით.

მეთუთუნე მუშა.

კინო-თეატრების მუშა-მოსამსახურეთა შორის

მეორე რაიონის „კინო-აპოლოს“ მუშა-მოსამსახურენი დიდ გაჭირვებას განიცდიან შრომის ხელ-ფასის მიუღებლობის გამო. თუმცა ჩვენმა კავშირმა ადმინისტრაციასთან პირველ მაისიდან ახალი კოლექტიური ხელშეკრულება დასდო საქონლის მანეთის მომატებით, მაგრამ მის ცხოვრებაში გატარება ძლიერ მძიმედ მიმდინარეობს, ვინაიდან კინოს შემოსავალი დღიურ ხარჯებს ვერ ფარავს. მიზეზი ამისა შემდეგშია: ხსენებულ კინოს არა აქვს საზაფხულო შენობა, რომ საზოგადოება დაესწროს სურათების სანახავად. საზამთრო შენობაში კი ძალიან ცხელა და სურათების მნახველებიც ნაკლებად ესწრებიან. ამის და მიხედვით თითქმის ერთი თვის ჯამაგირები მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ მიღებული. გარდა ამისა მუშებს ეკუთვნით თითო თვის შვებულება და უფულობის გამო ისინი ვერ სარგებლობენ შვებულებით. საჭიროა, კინოს სექციის კოლეგიამ შეიგნოს ხსენებულ კინო-თეატრის მუშა-მოსამსახურეების გაჭირვებული მდგომარეობა, რომლებსაც დღიური გამოსაკვები პურის ფულიც კი არ მოეპოვებათ და მიიღოს სათანადო ზომები მუშების კანონიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მუშკორი—გ. მ—შვილი.

მუშათა ქრონიკა

— **უმუშევართა გაწმენდა.** შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით ამ დღეებში დაიწყება წითელ არმიიდან განთავისუფლებულ უმუშევართა გენერალური წმენდა.

— **მუშების საყურადღებოდ.** 23 და 24 ივლისს მუშტაიდში შინა-წარმოებისა და სააბრეშუმო სადგურის შენობაში საქ. საგამომფენო კომიტეტი აწყობს გამოფენას შინა-მრეწველობის და მეაბრეშუმეობის ექსპონატებისას, რომელნიც ამ დღეებში გაგზავნილი იქნება მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. დათვალიერება უფასოა და შეიძლება 12 საათიდან დღის 2 საათამდე და საღამოთი 5 საათიდან 7-მდე.

— **წმენდა რ.—გზაზე.** 18 ივლის შესდგა რ. | გზის მუშათა კავშირის კურსების მსმენელთა კრება კავშირის გაწმენდის შესახებ. ტრანსპორტისათვის გამოუსადეგარი მუშები გაწმენდილ იქნენ: მასთან შემუშავებულია კავშირის წევრთა ახალი კანდიდატების სია, რომელიც დასამტკიცებლად კავშირის პრეზიდიუმს გადაეცა.

— **მუშების დახმარება.** ქალ. კომუნალური მეურნეობის მუშათა კავშირში დარაჯთადა მეეზოვეთაგან ამა წლის 1-იანვრიდან 1 ივლისამდე შემოვიდა შემოწირულება გერმანულ ფაბზავკომების სასარგებლოდ 268,829000 მან., წითელი ფლოტის 86,940000 მან. საჰაერო ფლოტის—4863400 მან. სანატორიუმ „არაზინდო“-ს ასაგებად 667.191000 მან.

— **შეწირულება საქარხნო სკოლის კლუბს.** ცენტრალური საქარხნო სკოლის მუშა-მოსამსახურეებმა ამავე სკოლის კლუბის სასარგებლოდ მაისის და ივნისის თვის ჯამაგირიდან გადარიცხეს 39.789.000 მანეთ., რისთვისაც საქარხნო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობა შემომწირველთ დიდ მადლობას უცხადებს.

— **მუშკორების ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში.** ა. | წ. 22 ივლისს ჩვენი გაზეთის თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების ექსკურსიამ დაათვალიერა ბოტანიკური ბაღი. ბაღში—გზა და გზა, გაზ. „კომუნისტი“-ს თანამშრომელი, ამხ. ბუაჩიძე, მუშკორებს აცნობდა მცენარეებს, უხსნიდა ბაღის გაშენების ისტორიას და სხვა. ჩვენი მუშკორები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ექსკურსიით.

ბელია. ამ საქმისათვის საჭიროა ხანგრძლივი და სისტემატიური დახმარება საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ მეტი ყურადღება ყოველმხრივ ჩამორჩენილ ჯავახეთს!

დასასრულ საჭიროა აღნიშვნა ერთი გარემოების. შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან ჯავახეთში მოიპოვება მიწის საკმაო თავისუფალი ფონდი, დაახლოვებით 15 ათას დესიატინამდე. ჩვენ ვიცით თუ მიწის როგორი სივიწროვეა საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში, მაგალითად რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში. ჩემის აზრით, შეიძლებოდა ჯავახეთის გამოყენება უმიწაწყლო გლეხების დასასახლებლათ. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს.

ა. მენაბდე.

პროვინციაში

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების დაარსება რაჭაში.

ხვანჭკარის თემი.

კვირას, 7 ივლისს შესდგა **ხვანჭკარის თემის საზოგადო ყრილობა.** ყრილობას დაესწრო ოთხი სოფლის მოსახლეობა. გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. მუსელიანმა. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა რაჭველების სიღარიბის მიზეზებზე—არ კმარა მარტო მუყაითი და ბეჯითი შრომა, რომელსაც იჩენენ რაჭველები.

საჭიროა ანგარიშიანი შრომა, შრომა დამყარებული ეკონომიურ პრინციპზე, ეკონომიურ საფუძველზე. ჩვენი უანგარიშობით, ავადმყოფობის დროს ხშირად იძულებული ვხდებით კიტრის ფასად დავკარგოდ წვით და დაგვით მოპოებული მოსავალი, საქონელი დი ხშირად საკუთარი კერაც კი, ესევე უანგარიშო წინასწარ გაუთვალისწინებული სამეურნეო მოქმედება დიდ ვნებას გვაყენებს სტიქიურ უბედურების დროს—კოხის, მოუსავლობის, წყალდიდობის, ჭირის და სხვა შემთხვევებში. მართალია, სთქვა მომხსენებელმა ჩვენი ანგარიშიანობით ვერც კოხს და ვერც სხვა უბედურებას ვერ შევაშინებთ, მაგრამ ჩვენ, ჩვენი ანგარიშიანობით და წინასწარ მომზადებით შეგვიძლია შევიმსუბუქოთ ან სავსებით ავინაზღაუროთ ის ზარალი, რომელსაც მოგვაყენებს ესა თუ ის უბედურება, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს ის. ამ შემთხვევაში საჭიროა გაერთიანებული მოქმედება.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა დამზღვევ ორგანიზაციებზე—დაწვრილებით შეეხო გერმანიის სავალდებულო დაზღვევის საქმეს ავადმყოფობის, სიბერის, დასახიჩრების და უმუშევართა დაზღვევას; აღნიშნა აგრეთვე დაზღვევის ის სახე, რომელიც გავრცელებულია ევროპაში მეურნეთა შორის—დაზღვევა სეტყვისაგან საქონლის ჭირისაგან და სხვა შემთხვევებისაგან და შემდეგ გადავიდა საბჭოთა ფედერაციის დაზღვევის სისტემის დახასიათებაზე.

გლეხთა კომიტეტების დაარსებით საძირკველი ეყრება უღარიბეს გლეხთა დაზღვევას სხვა და სხვა უბედურებათა და გაჭირვებათა შემთხვევაში. ვთქვათ წყალდიდობამ გააფუჭა თქვენი ყანები, კომიტეტი ამ შემთხვევაშიაც გაძლევთ თქვენ მატერიალურ დახმარებას. თუ ადგილობრივ კომიტეტს არ ეყო სახსრები სოფლის ყველა მოსახლის (გაჭირვებულის) ზარალის დასაკმაყოფილებლად, მაშინ სამაზრო და ცენტრალური გლეხთა საურთიერთო კომიტეტი მიიღებს ზომებს, გაგიწიოთ დახმარებაო. ასეთი დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თქვენთვის ამ კომიტეტებს. კომიტეტი, სთქვა მომხსენებელმა ეხმარება აგრეთვე წითელ-არმიელთა ოჯახებს, ომში დაღუპულთა ქვრივ-ობლებს, ომში დასახიჩრებულთ და სოფლის სხვა გაჭირვებულთ.

მომხსენებელმა ყრილობას წაუკითხა მთავრობის დადგენილება, საიდანაც ხალხმა გაიგო რომ მთავრობა, მიწად-მოქმედების კომისარიატის სახით დაეხმარება აღნიშნულ კომიტეტებს მიწების და თესლეულობის მიცემით.

დასასრულ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება გლეხთა საურთიერთო კომიტეტების დაარსების შესახებ, ხვანჭკარის თემის (4 სოფლის) მშრომელი გლეხობა კმაყოფილებით ეგებება სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატის გადაწყვეტილებას და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას აღნიშნულ კომიტეტების განმტკიცების საქმეში. არჩეულ იქნა კომიტეტები:

სოფელ პირველი და მეორე ტოლიდან (ამ სოფლების სიპატარავის გამო მათთვის არჩეულ იქნა ერთი კომიტეტი): 1. ლავრენტი ცხვირაშვილი, 2. იოსებ გაგოშიძე, 3. კონსტანტინე დიმიტრის ძე გაგოშიძე, 4. ლავრენტი ავალიანი, 5. ერმილე გაბისიანი, 5, გიორგი ყიფიანი, 7. იასონ შიშინაშვილი 8. ივანე გაბისიანი 9. ბაგრატი მესხაძე.

სათემო კომიტეტში ზემოაღნიშნულმა ორმა სოფელმა აირჩია: 1. ილარიონ გაგოშიძე 2. სარდიონ სვანიძე 3. ალექსი დარისპანის ძე ლომთაძე 4. ერმალო შიშინაშვილი. სარევიზიო კომისიაში; 1. ევგენ შიშინაშვილი 2. ერასტო ქექნაძე 3. ილარიონ ყიფიანი კანდიდატად: სეით ცხვირაშვილი.

ხვანჭკარა და ჩორჯოს გაერთიანებულ კომიტეტში 1. ისიდორე თავშავაძე 2. ვარლამ დავითულიანი 3. ბათლომე მახალდიანი 4. გედევან ყიფიანი 5. სემიონ ნებსიწვერიძე 6. ანთიმოზ ტყეშელაშვილი 7. ალექსანდრე ბაგრატის ძე ლომთაძე.

სათემო კომიტეტში აღნიშნულმა ორმა სოფელმა აირჩია: 1. გალაკტიონ ჯაფარიძე 2. ივანე ვაწაძე 3. მიხეილ [illegible]შვილი 4. ვასილ [illegible]ძე, სარევიზიო კომისიაში: 1. [illegible] ჩარხიანი 2. [illegible] რემანოზ მახალდიანი [illegible] მიხეილ კი[illegible] მოთის [illegible]

ყრილობამ [illegible] გამოიტანა [illegible] სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატს [illegible] შუამდგომლობა [illegible] რათა [illegible] ჯერ არს [illegible] გლეხებს [illegible] ჩვენ [illegible] სოციალ-უზრუნველყოფის [illegible] კმაყოფილი [illegible] დაა[illegible] თხოვნა [illegible] გლეხების [illegible]

ხვანჭკარის თემის თავ[illegible] [illegible]შნიანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

შეღავათის შესახებ სრულიად რუსეთის 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გლეხთა მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინებაში.

1923 წ. ივლისს

რათა გლეხობა წახალისებულ იქნეს სრულიად რუსეთის 1923 წლის სასოფლო სამეურნეო და შინამრეწველობის გამოფენაში მონაწილეობისათვის,—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო,—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1923 წ. აპრილის 23 თარიღით გამოცემული—(„ზარია ვოსტოკა“ 1923 წ. აპრილის 26 № 93)—დეკრეტის დამატებად,—**ადგენენ:**

1. გლეხთა მეურნეობა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც წარგზავნის სრულიად რუსეთის 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის გამოფენაზე—მოსკოვში ექსპონატის სახით თავისი სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებს და საგანს,—განთავისუფლებულ უნდა იქნეს მასზე მირიცხული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 25 პროცენტის შეტანისაგან.

2. [illegible] წარდგენილ [illegible] გამოფენაზე [illegible] რქოსანი საქონელი [illegible] არ უნდა [illegible] დაბეგვრისა [illegible]

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე [illegible]

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალ[illegible]

დადგენილება № 9

[illegible] სოციალ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა.

16 ივლისი 1923 წ.

ვინაიდან [illegible] რესპუბლიკის ზოგიერთ [illegible] აქამდის [illegible] გაუქმებული, [illegible] დაწესებების შე[illegible] ყულაბები [illegible] სახალხო კომი[illegible] წინადადება: მიეცეს [illegible] საჩქაროთ [illegible] გაუხსნელი, [illegible] წარმოა[illegible] სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატ[illegible] სოციალ[illegible] სახალხო კო[illegible] [illegible] უზრუნველყოფის კომი[illegible]

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ხუთშაბათს, 26 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს კლუბში დანიშნულია საინსტრუქტორო მოხსენება. საჰაერო ფლოტის კვირეულის შესახებ. მომხსენებლად გამოვა საჰაერო ფლოტის უფროსი—შიუკოვი. დასწრება სავალდებულოა ყველა პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისა, უჯრედების მდივნებისა, უჯრედების მიერ მოხსენების გასაკეთებლად არჩეულ ამხანაგებისა.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საგ.-საპრ. განყოფილება.

— საქ. კომ. პარტ. ტფ. ორგ. მე-4 უბნის კომიტეტი წინადადებას აძლევს მობილიზაციის წესით გამოწვეულ ქვემოხსენებულ ამხანაგებს, რომელთაც დავალებული აქვთ თავის ამომრჩეველთ ანგარიში წარუდგინონ ქალაქის საბჭოს მოღვაწეობის შესახებ, გამოცხადდნენ 24 ივლისს, საღამოს 7 საათზე, აღმასრულებელი კომიტეტის ბინაზე (საბჭოს დარბაზი) ინსტრუქციების მისაღებათ. 1. დოლიძე, 2. არჩვაძე, 3. ათაბეგოვი, 4. უნგიაძე, 5. მოლჩანოვი, 6. კილოსანიძე, 7. ტიშკოვი, 8. სტურუა, 9. ტოროშელიძე მ., 10. მელიქოვი, 11. დუმბაძე ლ., 12. გეიდენ, 13. მახარაძე ფ., 14. მამულია, 15. გაგილევი.

პასუხისმგ. მდივანი: არუსტანოვი.

— სამშაბათს, 24 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მე-4 უბნის პარტშკოლის ბინაზე დანიშნულია მე-4 უბნის მუშა-ქალთა დელეგატების კრება. დასწრება სავალდებულოა ქალთა განყოფილების ყველა ორგანიზატორებისა და დელეგატებისა.

ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

— ტფილისის კომიტეტის საავ.-საპრ. განყოფილება იუწყება, რომ ყველა ამხანაგებმა, რომელთაც სურვილი აქვთ დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა სვერდლოვის და ზინოვიევის სახელობის უნივერსიტეტში შესვლის, განცხადება უნდა შეიტანონ საავიტაციო საპრ. განყოფილებაში არა უგვიანეს 25 ივლისისა და იხელმძღვანელონ მიღების იმ წესებით, რომელიც გამოცხადებული იყო გაზ. „კომუნისტის“ № 166-ში.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საგ. საპრ. განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. არსენიძეს 2 დღის განმავლობაში გამოცხადდეს ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

განცხადებები

სავალდებულო დადგენილება № 20

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

23 ივლისი 1923 წელი

საზოგადო სანახაობათა და გასართობ ადგილებზე გადასახადის შემოღების შესახებ

თანახმად ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1923 წლის 2 აპრილის დეკრეტისა, შესახებ ადგილობრივი ფინანსების მოწესრიგებისა, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 25 ივნისის დადგენილებისა და ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ საერთო დებულებისა, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნას ქალაქ თბილისში და მისი მაზრის ფარგლებში 25 ივლისიდან 1923 წლის გადასახადი საზოგადო სანახაობაზე და გასართობებზე შემდეგი წესით:

2. გასართობ და საზოგადო სანახაობათა ადგილებიდან გადასახადი უნდა შეიკრიფოს შესასვლელ ფასიან ბილეთებზე პროცენტიული დამატების სახით.

3) გადასახადი აკრეფილ უნდა იქმნას საზოგადო სანახაობათა და გასართობ ადგილებზე შესასვლელ ბილეთებიდან შემდეგი რაოდენობით:

ა) სიმფონიურ კონცერტებზე, ლიტერატურულ და მუსიკალურ დილა საღამოებზე, ოპერეტებზე (მათ რიცხვში კომიკურზეც), ბალეტებზე და სამხატვრო გამოფენებზე—5 პროც. ბილეთის ღირებულებიდან.

ბ) სასპორტო შეჯიბრებებზე, ცირკებში და მექანიკურ თეატრებში შესასვლელ ბილეთებიდან, გარდა კინემატოგრაფებისა,—10 პროც.

გ) კინემატოგრაფებში—15 პროც.

დ) ცხენების და სხვა შეჯიბრებებიდან და აგრეთვე სხვა საჯარო სათამაშოებიდან—25 პროც.

ე) უვახშმოთ და უბუფეტოთ გამართულ მსუბუქი ხასიათის სანახაობიდან (ოპერეტები, კაბარე და სხვ.)—50 პროც.

ვ) ბუფეტით ან ვახშმით გამართულ ოპერეტების, კაბარეების და სხვა მსუბუქ ხასიათის სანახაობიდან, საცეკვაო საღამოდან და მასკარადიდან 100 პროც.

შენიშვნა: 1. ფასიან სანახაობაზე და გასართობზე შესასვლელ უფასო ბილეთებზე გადასახადი აკრებილ უნდა იქმნეს დაკავებული ადგილის ან შესასვლელი ბილეთის ნამდვილი ღირებულების საფასურის მიხედვით.

შენიშვნა 2. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე სანახაობა ეკუთვნის ამა სავალდებულო დადგენილების მე-3-მე მუხლში ჩამოთვლილ ორს ან რამდენიმე ჯგუფს, გადასახადი აკრებილ იქნება იმ ჯგუფის მიხედვით, რომლისთვისაც დაწესებულია უდიდესი გადასახადი.

4. გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) მუზეუმები და სანახაობანი მოწაფეთა, წითელ-არმიელთა, ავადმყოფთა, უზრუნველყოფის ქვეშ მყოფთა და პატიმართათვის სპეციალურად გამართული სკოლები, კაზარმები, საავადმყოფოები, თავშესაფრები და გამასწორებელი სახლები.

ბ) სანახაობანი, რომელთაც აქვთ საავიტაციო-საპროპაგანდო, პოლიტიკურ-განმანათლებელი და სამხატვრო-საჩვენებელი ხასიათი.

ვ) სამხატვრო-განმანათლებელ ორგანიზაციების მიერ, საცდელ საჩვენებელი და ანგარიშის მიცემის მიზნით,—გამართული სანახაობანი.

დ) დახურული საღამოები, გამართული საქარხნო ორგანიზაციების და პროფ-კავშირების მიერ თავიანთ წევრებისათვის.

ე) მუშათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ, საქველმოქმედო მიზნით მოწყობილი სანახაობანი და გასართობი საღამოები.

ვ) საბავშვო წარმოდგენები.

5. ბილეთის საფასურად, რომლის მიხედვითაც აკრებილ უნდა იქმნეს გადასახადი, ითვლება გასაყიდ ბილეთებზე დაწესებული ფასი ყოველგვარი დამატებითი გადასახადით, რა სახითაც ის არ უნდა იყოს.

6. თუ ბილეთის ღირებულების გარდა, გასართობის მომწყობი ღებულობს სანახაობის დამსწრეთაგან ცალკე გადასახადს განსაკუთრებულ ადგილების და მაგიდების დაჭერის უფლებისათვის, ან სხვა რაიმე სახით, ასეთი გადასახადებიც აგრეთვე ჩაითვლება ანგარიშში ქალაქის სასარგებლო გადასახადის გამოანგარიშების დროს.

7. სანახაობის და გასართობის ყოველ დამსწრეს უნდა ჰქონდეს შესასვლელი, და შესაფერ შემთხვევაში ადგილის დაკავების უფლების, სათანადო ბეჭედ დასმული ბილეთი, ამოჭრილი ყუიანი წიგნიდან.

8. შესასვლელ ბილეთებზე (§ 7) აღნიშნულ უნდა იქმნეს: ბილეთის დაწესებული ფასი გასართობის მომწყობის სასარგებლოდ, ქალაქის და სხვა დაწესებულებათა გადასახადი და საერთო ჯამი.

9. ბილეთებზე დაწერილი ფასის გადასწორება, აღმასკომის ნებადაურთველად, აკრძალულია.

10. სანახაობათა და გასართობების დამსწრეთაგან შესასვლელი ან ადგილების დაჭერის ნებართვისათვის დაწესებულ გადასახადის მიღება, ბილეთის მიუცემლათ, აგრეთვე უბილეთოთ ხალხის გაშვება, აკრძალულია.

11. გადასახადის საზოგადო სანახაობიდან და გასართობ ადგილიდან მიღებულ უნდა იქნას შესასვლელ ბილეთების ფასთან ერთად და წარმოდგენილ უნდა იქნას სანახაობის ან გასართობის მოწყობის მიერ იმ წესით, რომელიც არის ნაჩვენები ამა სავალდებულო დადგენილების განსამარტებლად გამოცემულ ინსტრუქციაში.

12. სანახაობებიდან და გასართობებიდან გადასახადის აკრეფის უშუალო მეთვალყურეობა ევალება აღმასკომის სპეციალურ აგენტებს.

13. ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან: ა) დაჯარიმებით არა უმეტეს 100 მანეთისა ბაჯაღლო ოქროთი, ბ) ან იძულებული მუშაობის მისჯით ვადით არა უმეტეს 2 თვისა და გ) ან გამასწორებელ სახლში დატუსაღების ვადით არა უმეტეს 2 თვისა.

თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

მდივანი: **თიკანაძე.**

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო

აუწყებს ამით ყველა მოქალაქეთ, რომ სახელმწიფო დაზღვევის გადასახადთა მოკრეფისათვის ქ. ტფილისში მოწვეულნი არიან განსაკუთრებული პირები (**сборщики**), რომელთაც აქვთ მიცემული დაწესებულების მიერ სათანადო რწმუნების ბარათები (**мандаты**).

სამმართველო სთხოვს ყველა მოქალაქეს მოსთხოვონ დაზღვევის გადასახადთა ამკრეფლებს აღნიშნული მანდატები. (კრ. 529 1—1)

საქართველოს პარტიული საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორა

(**უოფ. გაზ. ტრესტი**)

ამით აცხადებს, რომ იმ ხელის-მომწერლებმ, რომელთაც არ მიუღიათ ცენტრალური (მოსკოვის) გაზეთები ივნისის და ივლისის თვეებში, უფლება აქვთ ხელის მოწერის ქვითარის წარდგენის შემდეგ მიიღონ მიუღებელ ნომრებისათვის მათი საფასური ფულად.

ასეთის გადახდა ან ახალ ხელის მოწერის ანგარიშში გადარიცხვა შეიძლება 5 დღის განმავლობაში ე. ი. 25 ივლისამდე. (3—3)

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ მიიღო
შალის ფართლეულობის
ახალი პარტია,
ფართლეულობის შეძენა დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო წარმოებებს შეუძლიათ
მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე
მიმართეთ: ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო განყოფილებას, ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ოთახი 17 დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდი.
კრ. 522 2—2

ოლღას ქუჩა №-3 ყოფ. მელიქ-აზარიანცის შენობის ეზოში
მე-2 საბჭოთა ელექტრ. სადგურზედ
კეთდება და იყიდება უმაღლესი ხარისხის
ყინული
ხელსაყრელ ფასებში როგორც ფუთობით, ისე ბითუმათ დილის 4 საათიდან ღამის 12 საათამდე.
მსურველებს შეუძლიან მიმართონ იქვე ელექტრონის სადგურზე.
სამმართველოს გამგე იორდანაძე. საქმეთა მმართველი დ. ქიპაძე. 1—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული საბუღალტერიო პრაქტიკული
კურსი
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—11

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟასთან
დაარსებულია
მუდმივი საექსპერტო კომისია
ყოველგვარ საქონლის და მასალის ექსპერტიზის მოსახდენათ როგორც ბირჟაზე, ისე ქალაქში და მის გარეთ, მსურველის განცხადების თანახმად.
ექსპერტიზა კეთდება განსაკუთრებულად ამისთვის მოწვეულ მცოდნე პირების მიერ საბირჟო კომიტეტის წევრის და მაკლერის მონაწილეობით.
ყოველგვარი ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება ბირჟაზე (სოლოლაკის ქ. № 7) ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, 8—2 საათამდე.
კრ. 526

განცხადება

ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის საქართველოში

ა. კ. ფინანსკომის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს, რომ 14 ამა ივლისს, თანახმად ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს № 66 დადგენილებისა, შემოღებულია აქციზი კალოშებზე. ამის გამო წინადადება ეძლევა ყველა საწყობების და სავაჭროების გამგეებს, სადაც მზადდება, ინახება და იყიდება ეს საგანი (საწყობები და სავაჭროები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, რკ. გზის სადგურების, ნავთსადგურების, სატრანსპორტო კანტორების, ბანკების, კოოპერატიულ საზოგადოებების და კერძო პირების), წარუდგინონ სამი დღის განმავლობაში დღიდან ამის განცხადებისა ამის შესახებ განცხადება თბილისში არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილებას (სასამართლოს ქ. № 50) და მაზრებში ადგილობრივ აქციზის ინსპექტორებს. განცხადებაში უნდა იქნეს აღნიშნული: სად იმყოფება საწყობი ანუ სავაჭრო, ვის ეკუთვნის და რამდენი ჰქონდა კალოშში 14 ამა ივლისისათვის. ამასთანავე ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში აფრთხილებს ყველას, რომ თუ დანიშნულ ვადაზე არ იქნება განცხადება წარდგენილი და ზემოაღნიშნული საგანი აღმოჩნდა რომელიმე საწყობში ან სავაჭროში აღუნუსხავი და აქციზ შეუწერელი, ასეთი ჩაითვლება განზრახ სააქციზო გადასახადისაგან გადამალულად, ჩამოერთმევა პატრონს და დამნაშავე არსებულ კანონის ძალით მიეცემა პასუხის გებაში.

ა. კ. ფინსახკ. რწმუნ. საქ.-ში **გ. ბიბინეიშვილი.**

არაპირდაპირ გადას. განყ. გამგ. მოად. **მ. ჩხატარაშვილი.**

527 2—2

ელექტრონის სინათლით და
სამკურნალო
საშუალებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფოს აწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კორგანოვის ქ. № 30 (501—26—2

ქ. ტფილისის მე-2 უბნის სასამართლო

1923 წ. 16 ივლისის დადგენილებით დამტკიცა შესასრულებლად გარდაცვალებულ ელისაბედ ანტონის ასულ ჯავახიშვილის ნოტარიალური ანდერძი.

ქ. ტფილისის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლე **ნ. კორინთელი.**

(კვ. 997 1—1)

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხდაზე რეგისტრაციის მოწმობა № 147, მიხაილ თომას ძე თუაურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (კვ. 995 1—1)

დაიკარგა დროებითი პასპორტი, რომელიც გაცემული იყო ტფილისის მილიციის მიერ ა. წ. თებერვალში, მარ ივანეს ასული იმისაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (კვ. 996 1—1)

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.